



"ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ "

საერთო დანიშნულების
სახელმწიფო მომსახურების
სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი

ფ. შ. შ.

ფრიდონ შენგელია

„*03*“ „*02*“ 2015 წელი

ეგზ. N1

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
2011 და 2012 წლების შესაბამისობის აუდიტის ანგარიში

N^o 20/00

შინაარსი

1. დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე.....	3
1.1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე-----	3
1.2. აუდიტის პასუხისმგებლობა-----	3
2. შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	3
2.1. ძირითადი აქტივები-----	3
2.2. დებიტორული დავალიანება-----	6
2.3. კრედიტორული დავალიანება-----	7
2.4. მივლინება-----	11
2.5. წრმომადგენლობითი ხარჯები-----	12
2.6. საქართველოს რეგიონებში განდახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფეხბურთის მოედნების მშენებლობის მიზნით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების განკარგვა (კომპანია "სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე."-ის მიერ შესრულებული სამუშაოები) -----	12
2.6.1. ქ. ფოთის ცენტრალური სტადიონი-----	13
2.6.2. ქ. გორის ცენტრალური სტადიონი-----	17
2.6.3. ქ. გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა-----	20
2.6.4. ქ. ქობულეთში თანამედროვე ტიპის ხელოვნურსაფარიანი მოედნის მშენებლობა-----	23
2.7. საქართველოს რეგიონებში განხორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებით გამოყოფილი თანხების განკარგვა (შპს "ინტერსპორტის" მიერ შესრულებული სამუშაოები)-----	28
2.7.1. ქ. თელავის ცენტრალურ სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა-----	29
2.7.2. ქ. ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონზე უეფას მეოთხე კატეგორიის სტადიონის მოწყობა-----	31
2.7.3. ქ. სამტრედიაში ცენტრალურ სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა-----	33
2.7.4. ქ. დუშეთში ოლიმპიურ ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა-----	34
2.8. სპორტის განვითარების ხელშეწყობის განვითარების ღონისძიებებით (კოდი 39.02) განხორციელებული პროგრამები-----	37
3. უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ	44

1.დასკვნა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

1.1.ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კანონმდებლობასთან შესაბამისობაზე

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის საქმიანობის და ფინანსური ოპერაციების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

1.2.აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხისმგებლობაა გამოთქვას მოსაზრება იმის შესახებ, შეესაბამება თუ არა ორგანიზაციის საქმიანობა, ფინანსური ოპერაციები და ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ინფორმაცია მოქმედ კანონმდებლობას, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით. პასუხისმგებლობა გულისხმობს აუდიტორული პროცედურების იმგვარად წარმართვას, რომ მიღებულ იქნას აუდიტორული მტკიცებულება იმის შესახებ, გამოყენებული იქნა თუ არა სამინისტროს ხარჯები მოქმედი კანონმდებლობის მიზნების გათვალისწინებით. აღნიშნული პროცედურები ტარდება არსებითი შეუსაბამოების რისკების შეფასების საფუძველზე.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2.შესაბამისობის შესახებ უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

2.1.ძირითადი აქტივები

სამინისტროს ბალანსი არასრულად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს (ძირითად აქტივებს), რადგან ბალანსში 2011 წლის პირველი იანვრისთვის და 2011 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის ასახული შესაბამისად, 10,014,250.00 ლარის და 7,828,811.14 ლარის ღირებულების უძრავი ქონება, ასევე 2012 წლის პირველ იანვარს და 31 დეკემბერს 7,828,811.14 ლარის ღირებულების უძრავი ქონება. კერძოდ - ხელოვნურსაფარიანი და ასფალტაფარიანი მოედნები და ე.წ. „პატრიოტული ბანაკების“ ინფრასტრუქტურა, მათ შორის: ბაკურიანის ბანაკი- 72,359,76 ლარი; ვარციხის ბანაკი- 96,193.10 ლარი; ლაგოდეხის ბანაკი- 111,959.43 ლარი; წყალტუბოს ბანაკი-24,750.00 ლარი; საგარეჯოს ბანაკი- 115,838.63 ლარი; სქურის ბანაკი- 61,792.52 ლარი; ჭაბურღილი (წყლის) 2006წ. - 4,167.94; კომბინირებული მინი მოედანი- 27,786.00 ლარი; ხის კოტეჯები - 1,797,076.80 ლარი; ჭაბურღილი (წყლის) 2007წ. - 11,423.77 ლარი; ყვავილნარის ბანაკი - 145,264.96 ლარი; შაორის ბანაკი - 889,830.00 ლარი; განმუხურის პატრიოტული ბანაკი - 617,500.00 ლარი; კოტეჯები 20 ცალი - 317,822.76 ლარი; კოტეჯები 18 ცალი - 307,798.80 ლარი; ადმინისტრაციული შენობის

ფართი - 142,794.38 ლარი; სპორტული მოედანი 4 ცალი - 179,662.00 ლარი; ტ/ს „თბილისის ზღვა“ - 101,067.39 ლარი; ძიუდოს დარბაზი - 10,520.39 ლარი; ფალავანთა კლუბი - 59,364.66 ლარი; სპორტკომპლექსი „ვარკეთილი“ - 232,524.80 ლარი; წეროვანში სპორტული მოედანი - 66,310.00 ლარი; მესტიაში სპორტული მოედანი - 56,642.0; 4 ცალი სპ.მოედანი - 179,662.0 ლარი; ხელოვნურსაფარიანი მოედნები - 1,903,525.77 ლარი; ფეხბურთის მოედნები - 937,611.75 ლარი; ხელოვნურსაფარიანი მოედნები - 1,722,660.89 ლარი.

აღნიშნული ქონება სამინისტროს შექმნამდე (2010 წლის პირველ ივლისამდე), არაფინანსური აქტივების მუხლით ირიცხებოდა ყოფილი საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის ბალანსზე, ხოლო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შექმნის შემდეგ, აღნიშნული ქონება საბალანსო ანგარიშების ნაცვლად სამინისტროს მიერ ასახულია საცნობარო მუხლში (ბალანსგარეშე ანგარიშის B420 ქვეანგარიშებზე).

სამინისტროს აღნიშნული ქონება უნდა აღერიცხა ბალანსში ძირითად საშუალებებად, ვინაიდან 2010 წლის 29 ივნისს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელიც ჩაითვალა ზემოთაღნიშნული დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ ყოფილი დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული უძრავ-მოძრავი ქონების გადმოცემასთან დაკავშირებით მიმართა (2010 წლის 13 ივლისის N03-11/32 წერილი) ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს საპასუხო წერილის შესაბამისად, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ 2010 წლის 30 სექტემბრის N03-11/612 წერილით წარადგინა ყოფილი დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული უძრავი და მოძრავი ქონების ჩამონათვალი, რის შემდეგაც, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ უზრუნველყო მოძრავი ქონების გადაცემა მისი არსებობის ვადით (წერილი #15/2053/3-10 01.11.2010წ.), ხოლო უძრავი ქონების გადაცემის უზრუნველსაყოფად მოითხოვა აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების წარდგენა.

სამინისტრომ, იმის გათვალისწინებით, რომ ლიკვიდირებულად გამოცხადებული დეპარტამენტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების დიდი ნაწილი (ხელოვნურ და ასფალტსაფარიანი მოედნები) დისლოცირებულია საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში და წარმოადგენს მუნიციპალური დანიშნულების ობიექტებს, ხოლო ყოფილი პატრიოტული ბანაკები აღარ ფუნქციონირებდა, მიზანშეწონლად არ მიიჩნია აღნიშნული ობიექტების

აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების მომზადებაზე საბიუჯეტო ხარჯების გაწევა, კერძოდ საკითხი ეხებოდა 10,014,250.00 ლარის უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ აზომვითი ნახაზების და საკადასტრო რუკების დოკუმენტაციის მომზადებას. სამინისტროს მიერ დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი. რომლის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო, ორგანომ რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება“¹

2011 წელს სამინისტროს მიერ განხორციელდა ადმინისტრაციული შენობის (მდებარე, თბილისში, ჭავჭავაძის გამზ.#49) რეგისტრაციასთან დაკავშირებული პროცედურები, რის შემდეგაც დარეგისტრირებული უძრავი ქონება ღირებულებით 142,794.38 ლარი მოიხსნა ბალანსგარეშე ანგარიშიდან და გადატანილ იქნა ძირითად საშუალებების მუხლში (არასაცხოვრებელი შენობებში).

ბალანსგარეშე ანგარიშებზე ასახული დანარჩენი უძრავი ქონებიდან 2011 წელს სხვადასხვა უწყებებს გადაეცა სულ 2,042,644.18 ლარის ქონება (მ.შ. ბაღდათის მუნიციპალიტეტს - ვარციხის ბანაკის 33 კოტეჯი 411,830.10 ლარის ღირებულების და ვარციხის ბანაკის ინფრასტრუქტურა 96,193.10 ლარის ღირებულების; სსიპ საქართველოს ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრს - ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. #49ა-ში მდებარე ძიუდოს დარბაზი 10,520.39 ლარის ღირებულების და ფალავანთა კლუბი 59,364.66 ლარის ღირებულების; თავდაცვის სამინისტროს გადაეცა: ყვავილნარის პატრიოტული ბანაკის ინფრასტრუქტურა 145,264.96 ლარის ღირებულების და 84 ხის კოტეჯი - 1,048,294.80 ლარის ღირებულების; ლაგოდეხის ბანაკი - 111,959.43 ლარის ღირებულების; საგარეჯოს ბანაკი - 115,838.63 ლარის ღირებულების; ჭაბურღილი (წყლის) 2006 წლის - 4,167.94 ლარის ღირებულების, კომბინირებული მინიმოდანი - 27,786.40 ლარის ღირებულების, ჭაბურღილი (წყლის) 2007 წლის - 11,423.77 ლარის ღირებულების.

აგრეთვე, აღნიშნული უძრავი ქონების ჩამონათვალში ასახულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში 2009 წლიდან რიცხული პატრიოტული ბანაკის ქონება (2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით: 18 ერთეული კოტეჯი და ბანაკის დამხმარე ინფრასტრუქტურა, სულ 925,299.0 ლარის ღირებულების), რომელიც ირიცხება სამინისტროს ბალანსზე საცნობარო მუხლების შემდეგ ანგარიშებზე: შენობა-ნაგებობები და სპორტული მოედნები (ანგარიში B112.03141) - ნარჩენი ღირებულებით - 617,500.00 ლარი; 18 კოტეჯი (ანგარიშები B112.03162 - B112.03179) - ნარჩენი ღირებულებით - 307,799.00 ლარი. აუდიტის მიმდინარეობისას, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის უფროსი აუდიტორის

¹ „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-მუხლის მე-3 პუნქტი: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება“

თეიმურაზ გოდუაძის და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის სამმართველოს მთავარ სპეციალისტის დავით ჭულუხაძის მიერ, აღნიშნული ქონების ადგილზე დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ განმუხურის ბანაკის ინფრასტრუქტურა და 18 ერთეული კოტეჯი ადგილზე არ აღმოჩნდა (საკითხი ასახულია აუდიტის ანგარიშის საიდუმლო ნაწილში).

2010 წლის 29 სექტემბრიდან სამინისტროს ბალანსის ძირითადი აქტივის ანგარიშზე ირიცხება სამინისტროს არსებობის პერიოდში შექმნილი: „ანაკლიის ბანაკი პროექტის ჩათვლით“ ღირებულებით- 3,420,000.00 ლარი და ორი ხის კოტეჯი ანაკლის ბანაკისათვის ღირებულებით - 21,304.98 ლარი. ხოლო დარიცხული ამორტიზაციის შედეგად, 2011 წლის 31 დეკემბრის მდგონარეობით ირიცხება: „ანაკლიის ბანაკი პროექტის ჩათვლით“ ნარჩენი ღირებულებით 3,240,000.00 ლარი და ორი კოტეჯი ნარჩენი ღირებულებით 20,183.66 ლარი, 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ირიცხებოდა (ანგარიში 2119.1.00216): „ანაკლიის ბანაკი პროექტის ჩათვლით“ ნარჩენი ღირებულებით 3,060,000.00 ლარი და ორი კოტეჯი (ანგარიშები 2112.00214 და 2112.00214) ნარჩენი ღირებულებით - 19,062.34 ლარი, რომლებიც სამინისტროს სახელზე დარეგისტრირებული არ არის. რითაც დარღვეულია „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტი.² აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დათვალიერების შედეგად, ანაკლიის ბანაკის ორი ერთეული კოტეჯი ადგილზე არ აღმოჩნდა. სამინისტროს განმარტებით სამინისტროს კონტროლს დაქვემდებარებულმა სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა“ 2011 წლის 10 მაისს შპს „ვიაიპი დენტთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე ანაკლიის ორი კოტეჯის და სქურის ბანაკის სამი კოტეჯის დაშლილი მასალისგან ააშენა ერთი კოტეჯი ანაკლიის ბანაკის ტერიტორიაზე, რომლის მშენებლობის ხარჯებმა შეადგინა 19,151.24 ლარი. ზემოთ აღნიშნული ოპერაციები (5 კოტეჯის დაშლა და დაშლილი მასალისგან ერთი ახალი კოტეჯის აშენება) სამინისტროს ბუღალტრულ აღრიცხვაში ასახული არ არის. ე.ი. ბალანსში არარეალურად არის ასახული არაფინანსურ აქტივებში რიცხული ანაკლიის 2 ერთეულ კოტეჯი - 19,062.34 ლარის ღირებულებით და საცნობარო მუხლში ასახული სქურის ბანაკის 3 ერთეული კოტეჯი (ანგარიში B112.0316) - 37,439.10 ლარის ღირებულებით. უნდა აღინიშნოს, რომ 2011 და 2012 წლებში უძრავი ქონების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა.

2.2. დებიტორული დავალიანება

2012 წლის 31 დეკემბრისთვის სამინისტროს ბალანსზე ირიცხება შემდეგი მოთხოვნები:

² „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-მუხლის მე-3 პუნქტი: „სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრირდეს იმ სახელმწიფო, აფხაზეთის ან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანომ, ფიზიკურმა პირმა, საჯარო სამართლის ან კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება“.

ანგარიში +	დასახელება	საბოლოო/დ ეპიტი 01.01.2013	წარმოშობის თარიღი/ პერიოდი	განმარტება	გატარებული ლონისძიებები
1462 2	ძველი დავალიანება (4 პირი)	4,969.00	1996-2001		-
1484	ძველი დეპიტორული დავალიანება	83,037.30	2008	ფეხბურთის ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ხარჯი, რომელიც საქართველოს კონტროლის პალატის სარევიზიო ჯგუფის მიერ არ იქნა ხარჯად აღიარებული	-

სამინისტროს სათანადო ღონისძიებები არ გაუტარებია აღნიშნული დებიტორული დავალიანების ამოსაღებად.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს მიერ 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 და 2014 წლის 26 დეკემბრის N07/4790 წერილების თანახმად ფეხბურთის ფედერაციას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნებიდან (N015087-2012/02/1 15/05/2012 და N015121-2012/3/1 15/05/2012) გამომდინარე სამინისტროს ბალანსზე და ბუღალტრულ აღრიცხვაში უნდა ირიცხებოდა დებიტორული დავალიანება ფეხბურთის ფედერაციის მიმართ 27,155.75 ლარის (ქ.ფოთში ცენტრალური სტადიონზე ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოებიდან გამომდინარე) და 128,682.5 ლირის (ქ.გორში ცენტრალური სტადიონზე ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოებიდან გამომდინარე) ოდენობით, მაგრამ არ ერიცხება. ე.ი აღნიშნული თანხებით დებიტორული დავალიანებები არარეალურად არის შემცირებული. შესაბამისად არარეალურად არის ასახული ფაქტიური ხარჯები და 2012 წლის 31 დეკემბრისათვის წმინდა ღირებულება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, აღნიშნული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნები (N015087-2012/02/1 15/05/2012 და N015121-2012/3/1 15/05/2012) აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

2.3.კრედიტორული დავალიანება

სამინისტროს 2011 წლის 31 დეკემბრის და 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ერიცხება 1,134,904.00 ლარის ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები, რომელიც გადმოცემულია ყოფილი სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტიდან, ქვემოთ ცხრილში მოცემულია ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები წარმოშობის პერიოდის და საფუძვლის მითითებით:

ანგარიშის #	ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ 01.01.2013	ნაშთი 01.01.2013	წარმოშობის თარიღი/ პერიოდი	განმარტება
3214 807	ა/კ "ორბი"	3,563.00	1997	ავიაბილეთების ღირებულება

3214 808	ა/კ "ერ ჯორჯია"	2,101.00	1998	ავიაბილეთების ღირებულება
3251 1 1	ხელფასები 211	41,861.00	1997-2001	გადასახდელი (გაყინული) ხელფასები შტატით მომუშავეთათვის
3255 1	ძველი დავალიანებები	21,110.00	1997; 2000;2001	ვეტერან სპორტსმენებზე გაუცემელი სოციალური დახმარება ბიუჯეტის სეკვესტრის გამო
3258	გადასახდელი სტიპენდიები	241,070.00	1997;1998;1999; 2003;	პრეზიდენტის სტიპენდიანტებზე, ასევე ეროვნული ნაკრების წევრებზე გაუცემელი სტიპენდიები ბიუჯეტის სეკვესტრთან დაკავშირებით.
3285 1 1 119	ააიპ საქართველოს რაგბის კავშირი	11,592.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 120	ააიპ კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	19,504.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 121	ააიპ ძიუდოს ეროვნული ფედერაცია	12,009.00	1998; 1999; 2004	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 122	ააიპ ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია	56,837.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 123	ააიპ საქ.მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია	27,842.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 125	ააიპ საქ.სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია	19,914.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 126	ააიპ სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია	23,079.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 127	ააიპ საქ.კრივის ეროვნული ფედერაცია	12,320.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 130	ააიპ საქართველოს ჩოგბურთის ფედერაცია	8,358.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 131	ააიპ საქართველოს ფარიკაობის ჩოგბურთის ფედერაცია	10,080.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 132	ააიპ საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია	10,070.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 134	ააიპ საქართველოს ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია	6,909.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 143	ააიპ საქართველოს ფედერაცია - სპორტი ყველასათვის	7,290.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 144	ააიპ საქართველოს ველოსპორტის ეროვნული ფედერაცია	10,372.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 145	ააიპ საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია	12,327.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 157	ააიპ ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	26,159.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 158	ააიპ საქართველოს ჯადრაკის ეროვნული ფედერაცია	20,207.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)

3285 1 1 159	ააიპ ქართული ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია	6,042.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 164	ააიპ საქ.საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაცია	4,224.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 165	ააიპ საქ. სამზოს ეროვნული ფედერაცია	9,104.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 167	ააიპ საქართველოს ტაიკვანდოს ფედერაცია	6,784.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 169	ააიპ საქართველოს მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია	2,494.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 172	ააიპ საქართველოს მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია	6,740.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 173	ააიპ საქართველოს წყალსათხილამურო სპორტის ეროვნული ფედერაცია	3,972.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 312	ააიპ საქართველოს მთასვლელთა საერთაშორისო ფედერაცია	4,300.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 408	ააიპ საქართველოს საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია	15,181.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 415	ააიპ საქართველოს ბალახის ჰოკეის ეროვნული ფედერაცია	7,108.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 809	ააიპ საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაცია	7,518.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 810	ზამთრის სახეობები	7,710.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 811	ააიპ ათლეტიზმის ფედერაცია	7,548.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 812	ალპური კლუბი	4,779.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 1 813	ააიპ საქართველოს ბადმინტონის ფედერაცია	6,416.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 124	ააიპ საქ. ნიჭოსნობისა და კანოეს ეროვნული ფედერაცია	18,776.00	1998-1999	ფედერაციების შენახვის ხარჯი (სეკვესტრი)
3285 1 2	მსოფლიო და ევროპის ჩემპიონთა ჯილდოები	117,000.00	1999	გაუცემელი ფულადი ჯილდო (სეკვესტრი)
3285 1 3	81 პროცენტების დავალიანება	282,466.00	1997-1999	საკუთარი ხარჯებით ჩატარებული სპორტული ღონისძიებების ხარჯები, რომელითა დაფარვის ვალდებულება აღებული ჰქონდა სპორტის დეპარტამენტს

3285 1 814	მძლეოსნობის კომპლექსი	890.00	1997	იჯარის თანხა
3285 1 815	სპორტული მედიცინის რეაბილიტაციის ცენტრი	11,278.00	1998	სამედიცინო მომსახურების ღირებულება
	ჯამი	1,134,904.00		

სამინისტროს მიერ, „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის „ფინანსური ვალდებულებებით და სხვა კრედიტორული დავალიანებებით ოპერაციათა კლასიფიკაციის“ 31-ე პუნქტის („ვადაგადაცილებული დავალიანებები ანგარიშგებაში აისახება საცნობარო მუხლის სახით – ვადაგადაცილებული დავალიანებების 09 ანგარიშზე“)³ გათვალისწინებით სამინისტროს ნაერთი ბუღალტრული ანგარიშის ფორმა N1-ის (ბალანსის) 09 საცნობარო მუხლში დაფიქსირებულია საბალანსო მუხლებში არსებული ყველა კრედიტორული დავალიანების ჯამი - საანგარიშო წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებების გამოკლებით. მაგრამ ბუღალტრულ აღრიცხვაში (საბუღალტრო პროგრამა „ორისი“) ვადაგადაცილებული დავალიანებები არ არის ასახული საცნობარო მუხლებში ბალანსგარე ანგარიშებზე, რის გამოც ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამება ერთმანეთს.

აღნიშნული კრედიტორული დავალიანებების გარდა სამინისტროს ერიცხება ძველი, ყოფილი სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტიდან გადმოყოლილი ვადაგადაცილებული დავალიანებები ბიუჯეტის მიმართ, რომელთა წარმომავლობის შესახებ სამინისტრო დაზუსტებულ ინფორმაციას ვერ ფლობს, კერძოდ:

ანგარიშის #	ინფორმაცია კრედიტორული დავალიანების შესახებ 01.01.2013	ნაშთი	წარმოშობის თარიღი/ პერიოდი	განმარტება	გატარებული ღონისძიებები
3259	სოციალური დაზღვევის ანარიცხები	129,781.16	1997-98	დაკისრებული სოცდაზღვევის გადასახადი, რომელიც აღიარებული იყო სპორტის დეპარტამენტის მიერ	
3321	სასამართლოს ან/და ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დარიცხული ვალდებულებები	1,501.00	1996-2001	სასამართლოს ან/და ადმინ. ორგან. მიერ დარიცხული რომელიც თავის დროზე არ გადაირიცხა	

³ - მუხლი 30. „ფინანსური ვალდებულებებით და სხვა კრედიტორული დავალიანებებით ოპერაციათა კლასიფიკაციის“

პუნქტი 31 „ვადაგადაცილებული დავალიანებები ანგარიშგებაში აისახება საცნობარო მუხლის სახით – ვადაგადაცილებული დავალიანებების 09 ანგარიშზე“

3322	საშემოსავლო გადასახადზე დარიცხული საურავი	409,002.44	1996-2011	გადაუხდელ საშემოსავლო გადასახადზე დარიცხული საურავი	
3322	სოციალურ გადასახადზე დარიცხული საურავი	193,422.22	1996-2011	გადაუხდელ სოციალურ გადასახადზე დარიცხული საურავი	
3323	გადასახდელი საშემოსავლო გადასახადი	37,901.60	1996-2011	გაცემულ თანხაზე დაუკავებელი/ გადაურიცხავი საშემოსავლო გადასახადი	
	ჯამი	771,608.42			

სამინისტროს მიერ არ არის ჩატარებული დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების ინვენტარიზაცია, რითაც დარღვეულია „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტის მოთხოვნა, რომლის თანახმად - ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია - წელიწადში ორჯერ მაინც.“⁴

2.4. მივლინება

2011 წელს მივლინების მუხლით გაწეული ფაქტობრი ხარჯებიდან ფაქტობრივი ხარჯის დამადასტურებელი დოკუმენტი არ იქნა წარმოდგენილი 524.00 ლარზე (2011 წლის 11 აგვისტოს N104-მ ბრძანება), ხოლო ქვეყნის გარეთ მივლინებულ პირებს ზედმეტად აუნაზღაურდათ სადღეღამისო ნორმის ღირებულება 882.00 ლარის ოდენობით (2011 წლის 13 დეკემბრის N158 ბრძანება). აღნიშნულით დარღვეულია „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულებით დადგენილი წესის მე-11 და მე-18 მუხლი.“⁵

2011 წელს ქვეყნის გარეთ მივლინების პერიოდში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა 19,259.00 ლარი, მათ შორის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე, სამინისტროს თანამშრომლებისათვის (მინისტრის გარდა) კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა

⁴ - საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 23 ივლისის N605 ბრძანების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტი: „ინვენტარიზაციის ჩატარება რეკომენდებულია შემდეგ ვადებში: ფინანსური მოთხოვნებისა და ვალდებულებების - წელიწადში ორჯერ მაინც.“

⁵ -11. თუ ქვეყნის ფარგლებს გარეთ მოსამსახურის მივლინებას მიმღები მხარე უზრუნველყოფს კვების ხარჯებით, მოსამსახურეს უნაზღაურდება სადღეღამისო ნორმის მხოლოდ 30%.; 18. მივლინების დამთავრებიდან: ა) არა უგვიანეს 60 დღისა ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებიდან დაბრუნებულმა მოსამსახურემ დაწესებულებას უნდა წარუდგინოს მგზავრობისათვის ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები, ხოლო ამ წესის მე-15 პუნქტითა და ამ ბრძანებულების №3 დანართის შენიშვნის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულმა თანამდებობის პირებმა დაწესებულებას ასევე უნდა წარუდგინონ ამავე პუნქტებით განსაზღვრული ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთები;

13,325.00 ლარი, ხოლო 2012 წელს ქვეყნის გარეთ მივლინების პერიოდში გაწეულმა კავშირგაბმულობის ხარჯმა შეადგინა 20,929.00 ლარი. მათ შორის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე სამინისტროს თანამშრომლებისათვის (მინისტრის გარდა) კავშირგაბმულობის ხარჯებმა შეადგინა 13,073.00 ლარი, რითაც დარღვეულია „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულების დანართი N3-ის მე-5 პუნქტი, რომელიც არ ითვალისწინებს მინისტრის გარდა სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს დანარჩენი თანამშრომლებისათვის ქვეყნის გარეთ მივლინების პერიოდში კავშირგაბმულობის ხარჯების ანაზღაურებას.⁶

2.5. წარმომადგენლობითი ხარჯები

სამინისტროს აპარატის მიერ 2011 და 2012 წლებში წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლით გაწეულმა დაუსაბუთებელმა ხარჯმა შესაბამისად შეადგინა 6,598 ლარი და 8,296.00 ლარი. აღნიშნული ხარჯები ჩამოიწერა გასავლის ზედდებულის საფუძველზე, სადაც არ იყო ინფორმაცია გაწეული ხარჯების შინაარსზე და რომელიც არ მიუთითებდა სამეურნეო ოპერაციის მოხდენის ფაქტზე. აღნიშნულით დარღვეულია „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი: რომლის მიხედვითაც ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს სამეურნეო ოპერაციის შინაარსს და ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.⁷

2.6. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფეხბურთის მოედნების მშენებლობის მიზნით სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების განკარგვა

(კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე.“-ის მიერ შესრულებული სამუშაოები)

საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის N1125 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ფეხბურთის მოედნების მშენებლობის მიზნით

⁶ - 5. საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს, საქართველოს მინისტრს და სახელმწიფო მინისტრს, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მივლინებისას მივლინებასთან დაკავშირებული კავშირგაბმულობის, ტრანსპორტის დაქირავებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები აუნაზღაურდება ფაქტობრივად გაწეული ხარჯების დამადასტურებელი საბუთების მიხედვით,

⁷ 2. ბუღალტრულ ანგარიშებზე ჩანაწერების შეტანის საფუძველს წარმოადგენს პირველადი აღრიცხვის დოკუმენტი, რომელიც ასახავს ეკონომიკური მოვლენის მოხდენის ფაქტს.

გამოეყო 2,500,000.00 ლარი ფეხბურთის ფედერაციისათვის გადასაცემად, ხოლო საქართველოს მთავრობის 2011 წლის 8 დეკემბრის N2379 განკარგულებით, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, ფეხბურთის ფედერაციას დაევალა მთავრობის N1125 განკარგულების შესაბამისად, მისთვის გადაცემული თანხის ფარგლებში, ფიფას მიერ რეკომენდებული, მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ხელოვნური საფარის დაგების (აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ მესხის სახელობის ლოკომოტივის სტადიონის სათადარიგო მოედანზე დასაგები ხელოვნური საფარის მოწყობის სამუშაოები საბიუჯეტო თანხებით არ შესრულებულა), ასევე მოედნის მოსავლელი სპეცტექნიკის სახელმწიფო შესყიდვა განეხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2.6.1.ქ.ფოთის ცენტრალური სტადიონი

2011 წლის 1 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს (ს/კ 999258890, მისამართი-57001 ნეო რისიო, თესალონიკი, საბერძნეთი, შემდგომში დარეგისტრირებული საქართველოში, როგორც უცხოური საწარმოს ფილიალი-„სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალი“, ს/კ-401964969) შორის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის N1125 განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-08/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს უნდა განეხორციელებინა ქალაქ ფოთის ცენტრალურ სტადიონზე უეფას მეოთხე კატეგორიის ხარისხის მინდვრის საფარის, სადრენაჟო და ირიგაციის სისტემის მოწყობის სამუშაო 757,820.00 ლარად. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული N846 ს/ფ ხელშეკრულების, 2011 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული N1017 ს/ფ ხელშეკრულებისა და 2011 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული N1090 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა შესყიდვის ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ ფედერაციის მიერ წარმოდგენილი ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად,

უზრუნველყოფდა ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგის“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან ფედერაციისათვის თანხების ეტაპობრივად გადარიცხვას, თავის მხრივ ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ტექნიკური და ფინანსური ანგარიშების წარდგენაზე. ამასთან, „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ, მისთვის სამინისტროდან წინასწარ გადარიცხულ თანხაზე ხარჯვის დოკუმენტაციის და შესაბამისი განმარტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, ფედერაცია ამ თანხის შესაბამისი ოდენობის თანხას აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში, მე-4 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოდგენის შემთხვევაში ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის შემთხვევაში, ღონისძიებაზე არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული 2011 წლის 28 დეკემბრის N81 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებებითა და მთავრობის 2011 წლის 24 მაისის N1125 განკარგულებით გათვალისწინებული 753,577.70 ლარის ღონისძიებების განხორციელება (სხვაობა წინასწარ გადარიცხულ თანხებთან შედარებით შეადგენს 4,242.30 ლარს, რომელიც დაბრუნებულია ბიუჯეტში).

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ფეხბურთის ფედერაციის მიერ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის არ არის წარდგენილი სრულყოფილი ფინანსური ანგარიში (ხელშეკრულებები, ინვოისები, საბაჟო-სასაქონლო დეკლარაციები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულებები და სხვა), შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ ფეხბურთის ფედერაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და შესაბამისი ანგარიშსწორებისას მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების

დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით, ასევე, არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რაც გულისხმობდა, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე.

ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილია 757,820.00 ლარის შესრულებული სამუშაოების ჩამონათვალი მხოლოდ რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 254,791.00 ლარი (მინდვრის საფარი-8214კვ.მ, 1კვ.მ ღირებულება შეადგენს 31.01 ლარს).

აუდიტის ჯგუფმა სამინისტროსგან ითხოვა, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციიდან და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალი“-დან გამოეთხოვა და წარმოედგინა სრულყოფილი ფინანსური ანგარიშისათვის და ფაქტიური ხარჯების დასადგენად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები, საბაჟო დეკლარაციები, ტრანსპორტისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დოკუმენტები და სხვა), მაგრამ სამინისტრომ ვერ უზრუნველყო ზემოთაღნიშნული დოკუმენტების წარმოდგენა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, სსიპ- შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვილი იქნა კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალის“-ს (ს/კ 401964969) სახელზე 2011-2012 წლებში გაფორმებული მათთან არსებული დოკუმენტები, მათ შორის იმპორტირებული საქონლის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები და სხვა თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

სსიპ-შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვის რამოდენიმე კომპონენტის ღირებულება, კერძოდ: ბალახის საფარის; ჰიდროფორის და საფართოებელი ავზის. (შენიშვნა: იმის გამო, რომ ბალახის საფარის ღირებულება დეკლარაციისა და ინვოისების მიხედვით განსხვავებულია, ჩვენს მიერ აღებულია ინვოისით გათვალისწინებული ღირებულება)

დეკლარაციების და ინვოისების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილის სახით:

ბალახის საფარი დეკლარაციით

N	იმპორტირებული საქონლის დასახელობა	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენო ბა კგ-ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)
1	ბალახის საფარი (ბუნებრივი)	c 21352	16.12.2011	61,308.00	77,719.12	21,888.00	2.1536	47,138.00
2	ბალახის საფარი (ბუნებრივი)	c 21246	15.12.2011	20,436.00	26,690.00	7,304.00	2.1605	15,780.29
3	ბალახის საფარი (ბუნებრივი)	C21032	13.12.2011	20,436.00	26,259.00	7,304.00	2.1967	16,044.70
4	ბალახის საფარი (ბუნებრივი)	c 20933	12.12.2011	40,872.00	53,647.35	14,608.00	2.2161	32,372.79
5	ბალახის საფარი (ბუნებრივი)	c 20907	11.12.2011	40,872.00	52,573.88	14,608.00	2.2161	32,372.79
	ჯამი			183,924		65,712		143,708.00

ბალახის საფარი ინვოისით								საბაჟოზე გადასახდელი		
ინვო ისის ნომე რი	ინვოისის თარიღი	რაოდენო ბა კგ-ში	რაოდენობა მ2-ში	ფასი 1 მ2 ევრო	ღირებულება, (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულ ება ლარი	იმპორტი ს გადასახა დი	დღგ	მომსახუ რების საფასურ ი
73	13.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.1967	16,044.70		13,989.00	400.00
74	13.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.1967	16,044.70			
75	13.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.1967	15,991.00			
72	12.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2161	16,186.00		4,804.00	400.00
69	09.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2205	16,218.00		4,726.00	400.00
70	09.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2205	16,218.53		9,656.00	400.00
71	09.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2205	16,218.53			
67	08.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2199	16,214.15		9,463.00	800.00
68	08.12.2011	20,436.00	913.00	8.00	7,304.00	2.2199	16,214.15			
	ჯამი	183,924.00	8,214.00		65,712.00		145,349.76		42,638.00	2,400.00

საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით

საქონლის დასახელება	დოკუმენტის ნომერი	დოკუმენტის სერია	ოპერაციის განხორციელების პერიოდი	ზომის ერთეული	საქონლის ღირებულება (ლარი)
ჰიდროფორი	2398523	ეა-01	06.12.2011	ცალი	3,050.85
საფართოებელი ავზი	2398523	ეა-01	06.12.2011	ცალი	372.88

გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა 2, ფორმა 3) აღნიშნული საქონელის ღირებულებად 148,773.00 ლარის ნაცვლად ასახულია 257,672.00 ლარი, სხვაობა შეადგენს 108,899.00 ლარს. ხოლო ფორმა 2-ის მიხედვით პროცენტულად დარიცხული ტრანსპორტის ხარჯების (4%), ზედნადები ხარჯების (10%), გეგმიური დაგროვების (8%) და დღგ-ის გათვალისწინებით აღნიშნულ მასალებზე ზედმეტად გადახდილი თანხა (სავარაუდოდ) სულ შეადგენს 158,764.00 ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 და 26 დეკემბრის N07/4790 წერილების თანახმად ფეხბურთის ფედერაციას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით (N015087-2012/03/1 15/05/2012) ქ.ფოთში ცენტრალური სტადიონზე ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოებიდან გამომდინარე გამოვლინილია სხვაობა 27,155.75 ლარის ოდენობით, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა 2014 წლის 12 დეკემბერს N13000 საგადახდო დავალებით. აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, აღნიშნული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა აუდიტის განმახორციელებელი ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

2.6.2. ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მოწყობა

2011 წლის 28 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს (ს/კ 999258890, მისამართი-57001 ნეო რისიო, თესალონიკი, საბერძნეთი) შორის, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 24 მაისის N1125 განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N02-09/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგის“ უნდა განეხორციელებინა ქალაქ გორის ცენტრალური სტადიონზე უფასო მეოთხე კატეგორიის ხარისხის მინდვრის საფარის, სადრენაჟო და ირიგაციის სისტემის მოწყობის სამუშაო 754,940.00 ლარად. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების

შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული N895 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა შესყიდვის ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან ფედერაციისათვის თანხების ეტაპობრივად გადარიცხვას, თავის მხრივ ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოყენებული ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ტექნიკური და ფინანსური ანგარიშების წარდგენაზე. ამასთან, „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ, მისთვის სამინისტროდან წინასწარ გადარიცხულ თანხაზე ხარჯვის დოკუმენტაციის და შესაბამისი განმარტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, ფედერაცია ამ თანხის შესაბამისი ოდენობის თანხას აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში, მე-4 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-5 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ დადგენილ ვადაში არ წარმოდგენის შემთხვევაში ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის შემთხვევაში, ღონისძიებაზე არსებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 28 დეკემბერს გაფორმებული N82 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებითა და მთავრობის 2011 წლის 24 მაისის N1125 განკარგულებით გათვალისწინებული 749,739.00 ლარის ღონისძიებების განხორციელება (სხვაობა 5,198.00 ლარის ოდენობით დაბრუნებულია ბიუჯეტში).

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის არ არის წარდგენილი სრულყოფილი ფინანსური ანგარიში (ხელშეკრულებები, ინვოისები, საბაჟო-სასაქონლო დეკლარაციები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები და სხვა), შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ ფედერაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და შესაბამისი ანგარიშსწორებისას მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით, ასევე არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რაც გულისხმობდა, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე.

ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 754,937.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 236,889.00 ლარი (მინდვრის საფარი სულ - 8214 კვ.მ, 1კვ.მ ღირებულება 5478კვ.მ-ის შეადგენს 29.06 ლარს, ხოლო 2736 კვ.მ-ის შეადგენს 28.40 ლარს).

აუდიტის ჯგუფმა სამინისტროსგან მოითხოვა, საქართველოს ფეხბურთის ეროვნული ფედერაციიდან და კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალი“-დან გამოეთხოვა და წარმოედგინა სრულყოფილი ფინანსური ანგარიშისათვის და ფაქტიური ხარჯების დასადგენად ხარჯვის დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტები (ხელშეკრულებები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები, საბაჟო დეკლარაციები, ტრანსპორტისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დოკუმენტები და სხვა), თუმცა ზემოთაღნიშნული დოკუმენტები სამინისტრომ ვერ წარმოადგინა.

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას არ იძლევა განისაზღვროს ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე და მიღება-ჩაბარების აქტში ასახული მასალების ფაქტიური ღირებულება. იმის გათვალისწინებით, რომ აუდიტის მასშტაბი შეზღუდულია და ამასთან, სხვა შემთხვევებში გამოვლინდა სტადიონების მოწყობის სამუშაოების შესრულების მიღება-ჩაბარების აქტებში მასალების ფაქტიური ფასების რეალურთან შედარებით გაზრდილი მონაცემები, რისკი იმისა, რომ ამ შემთხვევაშიც ანალოგიურ ფაქტთან გვექნება საქმე, დიდია, შესაბამისად აღნიშნული საკითხი მოითხოვს შემდგომ შესწავლას. რის დასადასტურებლადაც უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 და 26 დეკემბრის N07/4790 წერილების თანახმად ფეხბურთის ფედერაციას სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნით (N015121-2012/03/1, 15/05/2012) ქ.გორში ცენტრალური სტადიონზე ბუნებრივსაფარიანი მოედნის მოწყობის სამუშაოებიდან

გამომდინარე გამოვლინდა სხვაობა 128,682.5 ლარის ოდენობით, რომელიც ფეხბურთის ფედერაციის მიერ ბიუჯეტში დაბრუნებული იქნა 2014 წლის 12 დეკემბერს N12999 საგადახდო დავალებით. აუდიტის მიმდინარეობის პროცესში, აღნიშნული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა აუდიტის ჯგუფისთვის წარმოდგენილი არ ყოფილა.

2.6.3.ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 იანვრის N43 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოეყო 587,000.00 ლარი ქ. გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და აღნიშნულისათვის საჭირო სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით ააიპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის გადასაცემად. საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N138 განკარგულებით ცვლილება შევიდა N43 განკარგულებაში, რომლის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საფეხბურთო მოედნის მოწყობისა და აღნიშნულისათვის საჭირო სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2012 წლის 8 თებერვალს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N138 განკარგულების საფუძველზე, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-02/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე-ს საქართველოს ფილიალს“ 2012 წლის 30 მარტამდე უნდა განეხორციელებინა ქალაქ გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაო 587,000.00 ლარად. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმებული N182 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა შესყიდვის ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან ფედერაციისათვის თანხების ეტაპობრივად გადარიცხვას, თავის მხრივ ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ფინანსური ანგარიშის სრულყოფილად წარდგენაზე.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ასევე იღებდა ვალდებულებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება განეხორციელებინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის და ფედერაციის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული 2012 წლის 16 აგვისტოს N48 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ ზემოთ

აღნიშნული ხელშეკრულებითა და მთავრობის 2012 წლის 31 იანვრის N138 განკარგულებით გათვალისწინებული 587,000.0 ლარის სამუშაოების განხორციელება.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის არ არის წარდგენილი სრულყოფილი ფინანსური ანგარიში (ხელშეკრულებები, ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულებები, ტრანსპორტისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დოკუმენტები და სხვა), შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ ფედერაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და შესაბამისი ანგარიშსწორებისას მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით, ასევე არ არის დადასტურებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რაც გულისხმობდა, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალის“ მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე.

ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის წარდგენილია 587,000.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულებაა - 150,989.00 ლარი (მინდვრის საფარი - 7532 კვ.მ, 1 კვ.მ-ის ღირებულება შესაბამისად შეადგენს 20.05 ლარს).

ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვის მხოლოდ ერთი, ყველაზე მსხვილი კომპონენტის - „ბალახის საფარის“ ღირებულება, კერძოდ სასაქონლო საბაჟო დეკლარაციითა და ინვოისებით დადასტურებულია, რომ აღნიშნული სტადიონისთვის იმპორტირებული იქნა 7532 კვ.მ ბალახის საფარი, რომლის ღირებულება შეადგენს 58,120.00 ევროს, რაც შესაბამისი კურსით შეადგენს 126,759.72 ლარს, ე.ი. 1კვ.მ-ის ღირებულება არის 16.83 ლარი. (შენიშვნა: იმის გამო, რომ საქონლის ღირებულება დეკლარაციისა და ინვოისების მიხედვით ცოტათი განსხვავებულია, ჩვენს მიერ აღებულია ინვოისით გათვალისწინებული ღირებულება)

დეკლარაციების და ინვოისების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილის სახით:

ბალახის საფარი დეკლარაციით							
იმპორტირებული საქონლის დასახელობა	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენობა კვ.ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)

ბალახის საფარი (ხელოვნური)	c 3852	07.03.2012	15,861.00	150,988.99	57,580.00	2.1810	125,581.98
-------------------------------	--------	------------	-----------	------------	-----------	--------	------------

ბალახის საფარი ინვოისით							
ინვოისის ნომერი	ინვოისის თარიღი	რაოდენობა კგ-ში	რაოდენობა მ2-ში	ფასი 1 მ2 (ევრო)	ღირებულება, ა, (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულება ლარი
1700010286	23.02.2012	9,581.00	4,573.20	7.5	34,299.00	2.1810	74,806.12
1700010287	23.02.2012	6,480.00	2,959.60	8.05 (ინვოისში ფასი მითითებულია 7.5 ევრო, რაც არ შეესაბამება ღირებულებისა და რაოდენობის მარჯვენა მხარეს)	23,821.00	2.1810	51,953.60
ჯამი		16,061.00	7,532.80		58,120.00		126,759.72

გაფორმებულ მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა 2, ფორმა 3) ბალახის საფარის ღირებულებად 126,759.00 ლარის ნაცვლად ასახულია 150,989.00 ლარი, სხვაობა შეადგენს 24,230.00 ლარს, ფორმა 2 და ფორმა 3-ით არ არის გათვალისწინებული ზედნადებისა და მოგების პროცენტული ხარჯები, ხოლო დღგ-ს გადასახადი სხვაობაზე შეადგენს $(24,230.00 \times 0.18)$ 4,361.00 ლარს. ამრიგად, მხოლოდ ბალახის საფარზე ზედმეტად გადახდილი თანხა (სავარაუდოდ) შეადგენს $(24,230.00 + 4,361.00)$ 28,591.00 ლარს.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა (თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 2014 წლის დეკემბერში) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. წერილის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

2.6.4. ქ.ქობულეთში თანამედროვე ტიპის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის აშენება

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 24 აპრილის N741 განკარგულებით სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის გამოყოფილი ასიგნებებიდან გამოეყო 650,000.00 ლარი ქ. ქობულეთში თანამედროვე ტიპის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის ასაშენებლად, ამასთან სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით სახელმწიფო შესყიდვა განხორციელებინა გამარტივებული შესყიდვის საშუალებით „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

2012 წლის 1 მაისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და საბერძნეთის კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის, გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-05/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად, კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ 2012 წლის 15 ივნისამდე უნდა განეხორციელებინა ქ. ქობულეთის ცენტრალური სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაო 650,000.00 ლარად. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 16 მაისს გაფორმებული N610 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა შესყიდვის ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ფედერაციასა და საბერძნეთის კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან ფედერაციისათვის თანხების ეტაპობრივად გადარიცხვას, თავის მხრივ ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ფინანსური ანგარიშის სრულყოფილად წარდგენაზე.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ასევე იღებდა ვალდებულებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება განეხორციელებინა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამინისტროში უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებებიდან

მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის და ფედერაციის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული 2012 წლის 11 დეკემბრის N88 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ ზემოთ აღნიშნული ხელშეკრულებითა და მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებული 650,000.00 ლარის სამუშაოების განხორციელება.

შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის არ არის წარდგენილი სრულყოფილი ფინანსური ანგარიში (ხელშეკრულებები, ინვოისები, საბაჟო დეკლარაციები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულებები და სხვა), შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ ფედერაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და შესაბამისი ანგარიშსწორებისას მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით, ასევე არ არის დაცული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების მე-3 პუნქტის მოთხოვნები, რაც გულისხმობდა, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალის“ მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე.

ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 650,000.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 177, 639.00 ლარი (მინდვრის საფარი-7610.8კვ.მ, 1კვ.მ-23.34 ლარი).

სსიპ - შემოსავლების სამსახურიდან წარმოდგენილი დოკუმენტები საშუალებას იძლევა განისაზღვროს ხარჯთაღრიცხვის რამოდენიმე კომპონენტის ღირებულება, კერძოდ:

ბალახის საფარის, კვარცის ქვიშის, რეზინის გრანულების, ფეხბურთის კარის და ღორღის (10-22მმ და 5-10მმ).

დეკლარაციების და ინვოისების მაჩვენებლები მოყვანილია ცხრილის სახით:

ბალახის საფარი დეკლარაციით							
იმპორტირებული საქონლის დასახელება	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენობა კგ-ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)
ბალახის საფარი (ხელოვნური)	c 9139	23.05.2012	19,963.00	177,639.32	76,488.54	2.0795	159,057.92

ბალახის საფარი ინვოისით							
ინვოისის ნომერი	ინვოისის თარიღი	რაოდენობა კგ-ში	რაოდენობა მ2-ში	ფასი 1 მ2 ევრო	ღირებულება, (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულება ლარი
96053538	18.05.2012	14,938.52	5,695.2	10.5	57,236.76	2.0795	119,023.84
96053539	19.05.2012	5,024.62	1,915.6	10.5	19,251.78	2.0795	40,034.07
ჯამი		19,963.14	7,610.80		76,488.54		159,057.07

კვარცის ქვიშა დეკლარაციით							
იმპორტირებული საქონლის დასახელება	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენობა კგ-ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)
კვარცის ქვიშა	c 3869	20.06.2012	187,000.00	23,754.76	14,586.00	1.6286	23,754.61
კვარცის ქვიშა ინვოისით							
ინვოისის ნომერი	ინვოისის თარიღი	რაოდენობა კგ-ში	რაოდენობა ყუთი	ფასი 1 ყუთი (ევრო)	ღირებულება, (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულება ლარი
307	03.06.2012	187,000.00	187	78	14,586.00	1.6286	23,754.61

რეზინის გრანულები დეკლარაციით							
იმპორტირებული საქონლის დასახელება	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენობა კგ-ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)
რეზინის გრანულები	c 3590	05.06.2012	110,950.00	35,190.02	10,540.25	2.0301	21,396.71

რეზინის გრანულები ინვოისით					
ინვოისის ნომერი	ინვოისის თარიღი	რაოდენობა კგ-ში (აქ შედის ყუთების წონაც)	ღირებულება (აქ შედის ყუთების ღირებულებაც), (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულება ლარი
805	16.05.2012	111,055.00	17,840.25	2.0301	36,217.49

ფეხბურთის კარი დეკლარაციით							
იმპორტირებული საქონლის დასახელება	დეკლარაციის ნომერი	დეკლარაციის თარიღი	რაოდენობა კგ-ში (ნეტო)	სატარიფო ღირებულება	საქონლის ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	საქონლის ღირებულება (ლარი)
ფეხბურთის კარი	c 8080	08.05.2012	70.00	3,228.53	1,498.00	2.1202	3,176.05
ფეხბურთის კარი ინვოისით							
ინვოისის ნომერი	ინვოისის თარიღი	რაოდენობა კგ-ში	ღირებულება (ევრო)	კურსი, ევრო/ლარი	ღირებულება ლარი		
00002	04.05.2012	70.00	17,840.25	1,498.00	3,176.05		

ღორდი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურით						
საქონლის დასახელება	დოკუმენტის ნომერი	დოკუმენტის სერია	ოპერაციის განხორციელების პერიოდი	ერთეულის ფასი	ზომის ერთეული	საქონლის ღირებულება (ლარი)
ღორდი 10-22მმ	4820280	ეა-05	15.05.2012	25.423	კუბ.მ.	23,636.50
ღორდი 5-10მმ	4820280	ეა-05	15.05.2012	25.423	კუბ.მ.	823.71

მიღება-ჩაბარების აქტში (ფორმა 2, ფორმა 3) აღნიშნული საქონელის ღირებულებად 231,845.00 ლარის ნაცვლად ასახულია 278,535.00 ლარი, სხვაობა შეადგენს 46,690.00 ლარს. ფორმა 2-ის თანახმად, პროცენტულად დარიცხულია ზედნადები ხარჯების (12%), გეგმიური დაგროვება (10%), და დღგ-ის (18%) გათვალისწინებით ბიუჯეტიდან ზედმეტად გადახდილმა თანხამ (მხოლოდ იმ მასალებზე და საქონელზე, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან მიღებული დოკუმენტებით) შეადგინა 67,877.00 ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა (თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 2014 წლის დეკემბერში) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო

ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. წერილის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

ასევე, შემოწმებით დადგინდა, რომ კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალმა“ სამუშაოები დაასრულა 28 ივნისს 15 ივნისის ნაცვლად. სამინისტრომ ფედერაციას გადაურიცხა სულ 650,000.00 ლარი, ხოლო ფედერაციამ კომპანიას გადაურიცხა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს (1,750.00 ლარი) გამოკლებით - ჯამში 648,250.00 ლარი. სამინისტრომ 25 სექტემბერს N07/1091 წერილით მოსთხოვა ფედერაციას დარჩენილი 1,750.00 ლარის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტი, ე.ი. სამინისტროს იმის მაგვრად რომ მოეთხოვა პირგასამტეხლოს თანხის ბიუჯეტში გადახდა, ითხოვდა ფედერაციისგან კომპანიისთვის 1,750.00 ლარის გადარიცხვას. ფედერაციამ, შეასრულა სამინისტროს მოთხოვნა და 29 ნოემბერს გადარიცხა დარჩენილი თანხა კომპანიის ანგარიშზე და 11 დეკემბერს N03/1108 წერილით წარმოუდგინა სამინისტროს საგადახდო დავალება. ამავე დღეს გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი სამინისტროსა და ფედერაციას შორის, რითაც დადასტურდა 650,000.00 ლარის ხარჯი. ამრიგად ხელშეკრულების დარღვევის გამო პირგასამტეხლო - 1,750.00 ლარის ოდენობით ბიუჯეტში ჩარიცხული არ არის.

2.7. საქართველოს რეგიონებში განხორციელებული პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებით გამოყოფილი თანხების განკარგვა

(შპს“ინტერსპორტის“ მიერ შესრულებული სამუშაოები)

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოეყო 2,699,000.00 ლარი ააიპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის გადასაცემად, მათ შორის: 2,500,000.00 ლარი - საქართველოს რეგიონებში სამი საფეხბურთო მოედნის ბუნებრივი საფარის შესაცვლელად. განკარგულების მე-2 პუნქტის თანახმად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, საფეხბურთო მოედნების ბუნებრივი საფარის შესაცვლელად გათვალისწინებული სამუშაოების შესყიდვა უნდა განხორციელებულიყო გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად. ხოლო, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N1673 განკარგულებით, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებაში შეტანილი იქნა ცვლილებები, რომლის თანახმად 2,500,000.00 ლარი განკუთვნილი იყო საქართველოს რეგიონებში ოთხი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია/მოწყობისათვის. მათ შორის, ბუნებრივი საფარის შესაცვლელად. აგრეთვე

განკარგულებას დაემატა პუნქტი, რომლის თანახმად საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული „ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ ასიგნებებიდან უნდა უზრუნველყო ა(ა)იპ -საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის (მისი მოთხოვნისამებრ) შესაბამისი თანხის გადარიცხვა გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

2.7.1. ქ.თელავის ცენტრალურ სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულების საფუძველზე, 2012 წლის 10 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და შპს „ინტერსპორტს“ (ს/კ 417876926 რეგისტრირებული 2012 წლის 25 იანვარს) შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-07/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ინტერსპორტს“ 2012 წლის 10 სექტემბრამდე უნდა განეხორციელებინა ქალაქ თელავის ცენტრალურ სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 7992 კვ.მ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაო 715,210.00 ლარად. ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად, ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 20 ივლისს გაფორმებული N1035 ს/ფ ხელშეკრულების, 2012 წლის 3 აგვისტოს გაფორმებული N1106 ს/ფ ხელშეკრულების, 2012 წლის 9 აგვისტოს გაფორმებული N1134 ს/ფ ხელშეკრულების, 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმებული N1201 ს/ფ ხელშეკრულებისა და 2012 წლის 20 სექტემბერს გაფორმებული N1297 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, სამუშაოთა შესყიდვის ხარჯების დაფარვის მიზნით, სამინისტრო იღებდა ვალდებულებას, რომ ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისად, უზრუნველყოფდა ფედერაციასა და შპს „ინტერსპორტს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხიდან ფედერაციისათვის თანხების ეტაპობრივად გადარიცხვას, თავის მხრივ ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში სრულყოფილი ფინანსური

ანგარიშის წარდგენაზე. ხელშეკრულებით ასევე გათვალისწინებული იყო, რომ ფედერაცია სამინისტროს მიერ გადარიცხული თანხების ხარჯვას და შესაბამის ანგარიშსწორებას განახორციელებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის თანახმად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამინისტროში უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის და ფედერაციის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

სამინისტროსა და ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 25 დეკემბრს გაფორმებული N92 მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულ იქნა ფეხბურთის ფედერაციის მიერ ზემოთაღნიშნული ხელშეკრულებითა და მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებით გათვალისწინებული 715,207.00 ლარის ღონისძიებების განხორციელება.

აუდიტის შედეგად დადგინდა, რომ ფედერაციის მიერ სამინისტროსთვის არ არის წარდგენილი სრულყოფილი ფინანსური ანგარიში (ხელშეკრულებები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულებები, საბაჟო დეკლარაციები, ტრანსპორტისა და გაუთვალისწინებელი ხარჯების დოკუმენტები და სხვა), შესაბამისად ვერ დასტურდება, რომ ფედერაცია ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და შესაბამისი ანგარიშსწორებისას მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის მოთხოვნების დაცვით.

ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 715,212.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 230,009.00 ლარი, გაუთვალისწინებელი და სატრანსპორტო ხარჯები - 27.238.00 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი იქნა შპს „ინტერსპორტის“ სახელზე 2012 წელს გაფორმებული მათთან არსებული დოკუმენტები, მათ შორის იმპორტირებული საქონლის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები და სხვა თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შედარებული და გაანგარიშებული იქნა მასალების (რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა: ხელოვნური ბალახის საფარი, კვარცის ქვიშა) ფაქტიური ღირებულება, გამოვლინდა, რომ ფაქტიური ხარჯები ფორმა 2-ში გაზრდილია 23,102.63 ლარით, ხოლო პროცენტული დარიცხვების (ზედნადები ხარჯები 10%; გეგმიური დაგროვება 8% და დღგ 18%) გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 32,386.19 ლარი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერსპორტს“ ხელოვნური ბალახის საფარი შემოტანილი აქვს ინვოისის თანახმად: 4,896.00 კვ.მ, 1 კვ.მ - 11.82 ევროდ; 3,131.00 კვ.მ - 14.00 ევროდ. მაშინ როდესაც კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს შემოტანილი ჰქონდა 1 კვ.მ 7 და 10.5 ევროდ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა (თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 2014 წლის დეკემბერში) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. წერილის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

2.7.2.ქ.ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონზე მეოთხე კატეგორიის სტადიონის მოწყობა

ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 9 აგვისტოს გაფორმებულ N1131 ს/ფ ხელშეკრულების შესრულებისას. კერძოდ: 2012 წლის 20 ივლისს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და შპს „ინტერსპორტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N02-07/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ინტერსპორტს“ ქალაქ ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონზე უნდა განეხორციელებინა 7992 კვ.მ უეფას მეოთხე კატეგორიის მინდვრის (ბუნებრივი) საფარის დაგება, სადრენაჟო და ირიგაციის სისტემის მოწყობის სამუშაო

745,055.00 ლარად. ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 745,054.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება არის - 169,750.00 ლარი, სატრანსპორტო მომსახურება (საერთაშორისო და ადგილობრივი) - 100,300.00 ლარი, გაუთვალისწინებელი ხარჯები - 17,500.00 ლარი. შესაბამისად სამინისტროსა და ფედერაციას შორის 745,054.00 ლარის შესრულებულ სამუშაოებზე გაფორმებულია მიღება-ჩაბარების აქტი N91. 19.12.2012.

აღსანიშნავია, ისიც, რომ N02-07/შ ხელშეკრულებით შპს „ინტერსპორტს“ სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2012 წლის 15 სექტემბრამდე, თუმცა სამუშაოები დასრულებულ იქნა 2012 წლის 21 სექტემბერს. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს არ დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.07% ოდენობით (478,824.00 ლარის 0.07% * 6 დღე) 2,010.00 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი იქნა შპს „ინტერსპორტის“ სახელზე 2012 წელს გაფორმებული მათთან არსებული დოკუმენტები, მათ შორის იმპორტირებული საქონლის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები და სხვა თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შედარებული და გაანგარიშებული იქნა მასალების (რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა: ბუნებრივი ბალახის საფარი, ღორღი) ფაქტიური ღირებულება, გამოვლინდა, რომ ფაქტიური ხარჯები ფორმა 2-ში შემცირებულია - 18,846.64 ლარით, ხოლო პროცენტული დარიცხვების (ზედნადები ხარჯები 10%; გეგმიური დაგროვება 8% და დღგ 18%) გათვალისწინებით შემცირებულად გადახდილმა თანხამ შეადგინა - 26,419.97 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერსპორტს“ ბუნებრივი ბალახის საფარი შემოტანილი აქვს ინვოისის თანახმად: 1 კვ.მ - 10,49 ევროდ, . მაშინ როდესაც კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს შემოტანილი ჰქონდა 1კვ.მ - 7.0 ევროდ.

უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა (თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 2014 წლის დეკემბერში) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. წერილის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

2.7.3.სამტრედიის სტადიონზე სართაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 23 აგვისტოს გაფორმებულ N1199 ს/ფ ხელშეკრულების შესრულებისას (საფუძველი: 2012 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და შპს „ინტერსპორტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N02-08/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ინტერსპორტს“ ქალაქ სამტრედიის ცენტრალურ სტადიონზე უნდა განეხორციელებინა სართაშორისო სტანდარტების შესაბამისი 7992 კვ.მ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაო და ელექტროტაბლოს მოწყობა, ასევე არსებული მიწის საფარის მოჭრა და გადატანა-დაგება სათადარიგო მოედანზე 752,651.00 ლარად). ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 752,651.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 176,367.00 ლარი, საერთაშორისო სატრანსპორტო მომსახურება - 11,324.00 ლარი, ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება - 8,300.00 ლარი (მიღება-ჩაბარების აქტი N90. 19.12.2012. 752,651.00 ლარის შესრულებულ სამუშაოებზე).

ასევე აღსანიშნავია, N02-08/შ ხელშეკრულებით შპს „ინტერსპორტს“ სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2012 წლის 25 სექტემბრამდე, თუმცა სამუშაოები დასრულებულ იქნა 2012 წლის 2 ოქტომბერს. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს არ დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.07% ოდენობით (620,167.00 ლარის 0.07%*7 დღე) 3,038.00 ლარი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი იქნა შპს „ინტერსპორტის“ სახელზე 2012 წელს გაფორმებული მათთან არსებული დოკუმენტები, მათ შორის იმპორტირებული საქონლის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულებები და სხვა თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შედარებული და გაანგარიშებული იქნა მასალების (რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა: ხელოვნური ბალახის საფარი, ღორღი, კვარცის ქვიშა, ფეხბურთის კარები, ალამი) ფაქტიური ღირებულება, გამოვლინდა, რომ ფაქტიური ხარჯები ფორმა 2-ში გაზრდილია 52,467.70 ლარით, ხოლო პროცენტული დარიცხვების (ზედნაღები ხარჯები 10%; გეგმიური დაგროვება 8% და დღგ 18%) გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 73,551.32 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერსპორტს“ ხელოვნური ბალახის საფარი შემოტანილი აქვს ინვოისის თანახმად: 1 კვ.მ - 9.08 და 9.21 ევროდ, მაშინ როდესაც კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტინგი“-ს შემოტანილი ჰქონდა 1კვ.მ - 7.5 და 10.05 ევროდ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა (თარიღი მითითებული არ არის, სავარაუდოდ 2014 წლის დეკემბერში) სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს. წერილის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

2.7.4.დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

საქართველოს მთავრობის 2012 წლის 31 აგვისტოს N1673 განკარგულებით ცვლილება შევიდა ზემოთაღნიშნულ N1186 განკარგულებაში, რომლის თანახმად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებული პროექტების ფონდიდან სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხა განისაზღვრა ოთხი საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია/მოწყობისათვის, ხოლო სამინისტროს დაევალა „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით მისთვის განსაზღვრული „ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამის“ ასიგნებებიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის (მისი მოთხოვნისამებრ) შესაბამისი თანხის გადარიცხვა ამ განკარგულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრულყოფილად და შეუფერხებლად განხორციელების მიზნით.

ანალოგიური დარღვევები გამოვლინდა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 20 სექტემბერს გაფორმებულ N1300 ს/ფ ხელშეკრულების შესრულებისას (საფუძველი: 2012 წლის 10 სექტემბერს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და შპს „ინტერსპორტს“ შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N03-09/შ ხელშეკრულება, რომლის თანახმად შპს „ინტერსპორტს“ უნდა განეხორციელებინა ქალაქ დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი 7455 კვ.მ ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის სამუშაო 500,000.00 ლარად). ფედერაციის მიერ წარმოდგენილია 500,000.00 ლარის შესრულებული სამუშაოების მხოლოდ ჩამონათვალი რაოდენობებითა და ჯამური ღირებულებებით (ფორმა 2 და ფორმა 3), მათ შორის ბალახის საფარის ღირებულება - 148,239.00 ლარი, ადგილობრივი სატრანსპორტო მომსახურება - 17,176.00 ლარი, „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა (მიღება-ჩაბარების აქტი N98. 28.12.2012. 500,000.00 ლარის შესრულებულ სამუშაოებზე).

500,000.00 ლარიდან 287,088.00 ლარი გახარჯულია რეგიონებში განსახორციელებელი ფონდიდან, ხოლო 212,912.00 ლარი - დაგეგმილი ასიგნებებიდან (ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამიდან, კოდი 39.02.01).

N03-09/შ ხელშეკრულებით შპს „ინტერსპორტს“ სამუშაოები უნდა დაესრულებინა 2012 წლის 15 ოქტომბრამდე, თუმცა სამუშაოები დასრულებულ იქნა 2012 წლის 26 ნოემბერს. მიუხედავად ამისა, მიმწოდებელს არ დაეკისრა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო შეუსრულებელი სამუშაოს ღირებულების 0.07% ოდენობით (500,000.00 ლარის 0.07% * 43 დღე=15,050.00 ლარი).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ, სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე, ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან გამოთხოვნილი იქნა შპს „ინტერსპორტის“ სახელზე 2012 წელს გაფორმებული მათთან არსებული დოკუმენტები, მათ შორის იმპორტირებული საქონლის დოკუმენტაცია, ხელშეკრულებები, საბაჟო დეკლარაციები, ინვოისები, ანგარიშ-ფაქტურები, სასაქონლო ზედდებულები და სხვა თანდართული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე შედარებული და გაანგარიშებული იქნა მასალების (რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა: ხელოვნური ბალახის საფარი, ღორღი, კვარცის ქვიშა, ფეხბურთის კარები, წებო) ფაქტიური ღირებულება, გამოვლინდა, რომ ფაქტიური ხარჯები ფორმა 2-ში გაზრდილია 3,456.70 ლარით, ხოლო პროცენტული დარიცხვების (ზედნადები ხარჯები 10%; გეგმიური დაგროვება 8% და დღგ 18%) გათვალისწინებით ზედმეტად გადახდილმა თანხამ შეადგინა 4,845.74 ლარი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შპს „ინტერსპორტს“ ხელოვნური ბალახის საფარი შემოტანილი აქვს ინვოისის თანახმად: 1 კვ.მ - 9.08 და 9.21 ევროდ, მაშინ როდესაც კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს შემოტანილი ჰქონდა 1კვ.მ - 7.5 და 10.05 ევროდ.

ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სამინისტროს 2014 წლის 23 დეკემბრის N07/4748 წერილის თანახმად აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გააჩნია სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, რომლის თანახმად დადასტურებულია ხარჯის შესაბამისობა და სხვაობა არ გამოვლენილა.

შპს „ინტერსპორტთან“ გაფორმებულ არცერთ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ხელშეკრულების მოქმედების კონკრეტული ვადა, რასაც ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-19 მუხლის მე-6 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი.

ამრიგად, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1186 განკარგულებით და 2012 წლის 31 აგვისტოს N1673 განკარგულებით N1186 განკარგულებაში შეტანილი ცვლილებებით საქართველოს რეგიონებში განხორციელდა ოთხი (თელავის, ლანჩხუთის, სამტრედიის და დუშეთის) საფეხბურთო მოედნის რეაბილიტაცია/მოწყობის სამუშაოები,

რაზედაც დახარჯული იქნა სულ 2,712,915.00 ლარის საბიუჯეტო სახსრები, მაგრამ იმის გამო რომ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებების და „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლი მოთხოვნები სრულყოფილ ფინანსურ ანგარიშგების წარმოდგენასთან დაკავშირებით, ვერ მოხერხდა საბიუჯეტო თანხების ხარჯვის მიზნობრიობის დადგენა. აქვე უნდა აღინიშნოს, სამინისტროს მიერ წარმოდგენილია საქართველოს მთავარი პროკურატურის საგამომიებო ნაწილის უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სამმართველოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამომძიებლის მიერ 2013 წლის 21 ოქტომბერს შედგენილი ამოღების ოქმი, რომლის თანახმად ამოღებულია 2012 წლის 25 იანვრიდან 2012 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდის შპს „ინტერსპორტი“-ს საბუღალტრო დოკუმენტაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2014 წლის დეკემბერში, ექსპერტიზის მიერ გამოვლენილი სხვაობების (27,155.75 ლარი და 128,682.50 ლარი) გარდა აუდიტის ანგარიშის პროექტიდან გამომდინარე ბიუჯეტში დააბრუნა 213,781.46 ლარი.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფეხბურთის მოედნების მშენებლობის მიზნით სამინისტროსთვის გამოყოფილი თანხების განკარგვის შესახებ ზემოთ განხილული საკითხები ასახულია ქვემოთ მოყვანილ ცხრილში:

N	სტადიონი	ღირებულება ხარჯთაღრიცხ ვით	ღირებულება მიღება- ჩაბარების აქტით	სხვაობა აუდიტის დასკვნით	სხვაობა ექსპერტიზი თ	ფედერაციამ 2014 წლის დეკემბერში ბიუჯეტში დაბრუნებუ	შენიშვნა	დარჩა გადასარიცხი აუდიტის დასკვნიდან გამომდინარე
ბერძნული კომპანია „სიმუნოვიც კრისტინ & სია ო.ე“ მიერ შესრულებული								
1	ფოთის სტადიონი (ბუნებრივი)	757,820.00	753,577.70	158,764.00	27,155.75	27,155.75	ჩარიცხა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე	131,608.25
2	გორის სტადიონი (ბუნებრივი)	754,940.00	749,739.00	მასალების იდენტიფიცირ ება ვერ მოხერხდა	128,682.50	128,682.50	ჩარიცხა ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე	0.00
3	გორის სტადიონი (ხელოვნური)	587,000.00	587,000.00	28,591.00			ექსპერტიზაზე გადაცემული	28,591.00
4	ქობულეთი სტადიონი (ხელოვნური)	650,000.00	650,000.00	67,877.00			ექსპერტიზაზე გადაცემული	67,877.00
	ფედერაციის მიერ 2014 წლის დეკემბერში ბიუჯეტში დაბრუნებული თანხა					213,781.46	ჩარიცხა აუდიტის დასკვნის საფუძველზე	-213,781.46

	ჯამი	2,749,760.00	2,740,316.70	255,232.00	155,838.25	369,619.71		14,294.79
	შპს "ინტერსპორტის" მიერ შესრულებული							
1	თელავი (ხელოვნური)	715,210.00	715,210.00	32,386.19			ექსპერტიზაზე გადაცემული	32,386.19
2	ლანჩხუთი (ხელოვნური)	745,054.00	745,054.00	26,419.97			ექსპერტიზაზე გადაცემული	26,419.97
3	სამტრედია (ხელოვნური)	752,651.00	752,651.00	73,551.32			ექსპერტიზაზე გადაცემული	73,551.32
4	დუშეთი (ხელოვნური)	500,000.00	500,000.00	4,845.74	0.00		ექსპერტიზა ჩატარებულია, სხვაობა არ გამოვლენილა	4,845.74
	ჯამი	2,712,915.00	2,712,915.00	137,203.22				137,203.22
	სულ	5,462,675.00	5,453,232.70	392,435.22	155,838.25	369,619.71		151,498.01

ამრიგად, სტადიონების მინდვრის საფარის დაგება-მოწყობის სამუშაოებმა სულ შედაგინა 5,453,232.70 ლარი (ხარჯთაღრიცხვით იყო 5,462,675.00 ლარი). აუდიტის შედეგად 7 სტადიონის სამუშაოებზე გამოვლინდა სხვაობა 392,435.22 ლარი (ერთ სტადიონზე მასალების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა), ექსპერტიზის დასკვნებით 3 სტადიონის (მ.შ. ერთ იმ სტადიონზე, რომელზეც მასალების იდენტიფიცირება ვერ მოხერხდა) სამუშაოებზე გამოვლინდა სხვაობები - 155,838.25 ლარის ოდენობით, რომელიც 2014 წლის 12 დეკემბერს დაბრუნებულია ბიუჯეტში. გარდა ამისა „აუდიტის ანგარიშის პროექტის“ საფუძველზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ 2014 წლის 26 დეკემბერს ბიუჯეტში დააბრუნა 213,781.46 ლარი (რომელი სტადიონების - მითითებული არ არის). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ ექსპერტიზაზე გადაცემული დანარჩენი 6 სტადიონის სამუშაოების საკითხი, რომელთა შესახებ დასკვნა მოგვიანებით გახდება ცნობილი.

2.8. სპორტის განვითარების ხელშეწყობის განვითარების ღონისძიებებით (39.02) განხორციელებული პროგრამები.

1. საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 1 აპრილის N01/04/01 განკარგულებით საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან სპორტის სამინისტროს გამოეყო 23,760.00 ევრო (57,139.00 ლარი) კალათბურთში საქართველოს ეროვნული ნაკრები გუნდის თანმხლები დელეგაციის 2011 წლის ევროპის ჩემპიონატზე დასწრებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების მიზნით. (39.02.03 - სპორტის სახეობათა განვითარების პროგრამა)

მიუხედავად იმისა, რომ კალათბურთის ფედერაციის მიერ არ იყო წარმოდგენილი ღონისძიებაზე გასამგზავრი მონაწილეების სია ფედერაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ფედერაციის ბეჭდით, რაც გათვალისწინებულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120

ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით, სპორტის სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 5 აპრილს გაფორდა N297 ს/ფ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც სამინისტრომ ფედერაციას გადაურიცხა აღნიშნული თანხა.

ასევე, სპორტის სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით ფედერაცია ვადებული იყო ღონისძიების დამთავრებიდან 10 დღის ვადაში სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში წარედგინა ტექნიკური და ფინანსური ანგარიშები. ღონისძიება გაიმართა 30 აგვისტოდან 7 სექტემბრამდე, თუმცა ფედერაციამ აღნიშნული დოკუმენტაცია სამინისტროში წარადგინა დაგვიანებით - 2011 წლის 23 დეკემბერს, რაც დასტურდება მიღება-ჩაბარების N638 აქტით.

2.საქართველოს პრემიერ-მინისტრის 2011 წლის 17 თებერვლის N48 ბრძანებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსათვის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოიყო 95,000.00 ლარი ლიტვში გასამართ კალათბურთის ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ქართველი კალათბურთელების სათანადო მხარდაჭერის ორგანიზებისა და საკოორდინაციო სამუშაოების ჩატარების ხარჯების ანაზღაურების მიზნით. (39.02.03-სპორტის სახეობათა განვითარების პროგრამა)

აღნიშნული ბრძანების ფარგლებში, სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 25 თებერვალს გაფორმდა N184 ს/ფ ხელშეკრულება, რომლის თანახმად ფედერაციას გადაურიცხა ლიტვის ევროპის ჩემპიონატზე დასასწრები 211 ცალი ბილეთის საფასური - 95,000.00 ლარი, თუმცა კალათბურთის ფედერაციის მიერ არ იყო წარმოდგენილი ღონისძიებაზე გასამგზავრი მონაწილეების სია ფედერაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერითა და ფედერაციის ბეჭდით, რაც გათვალისწინებულია სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტით.

2011 წლის 3 ივნისს ფედერაციასა და სამინისტროს შორის გაფორმდა მიღება/ჩაბარების აქტი ამ უკანასკნელზე 211 ცალი ბილეთის გადაცემასთან დაკავშირებით. ბილეთების გამოიყენის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი არ იქნა.

ხელშეკრულების თანახმად, ფედერაციას ანგარიში უნდა წარედგინა ღონისძიების დასრულებიდან 10 დღის ვადაში, ანგარიში კი წარდგენილია დაგვიანებით - 2011 წლის 23 დეკემბერს. (ღონისძიების გამართვა ბრძანებით გათვალისწინებული იყო 31 აგვისტოსა და 18 სექტემბერს, განმარტებით ბოლო თამაში გაიმართა 12 სექტემბერს).

3.საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს N1656 განკარგულებით მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს გამოეყო 237,798.00 ლარი 2011 წელს ლიტვაში გასამართ კალათბურთის ევროპის ჩემპიონატზე ეროვნული ნაკრების მხარდამჭერთა ჯგუფის მივლინებასთან დაკავშირებული ხარჯების დასაფინანსებლად. (39.02.03-სპორტის სახეობათა განვითარების პროგრამა)

განკარგულების ფარგლებში სამინისტროსა და კალათბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული N812 ს/ფ ხელშეკრულების საფუძველზე ფედერაციას აღნიშნული თანხა გადაერიცხა ქ. პალანგაში (ლიტვა) 180 გულშემატკივრის ჩარტერული რეისით გამგზავრებასთან დაკავშირებით ისე, რომ ფედერაციის მიერ არ ყოფილა წარდგენილი ღონისძიებაზე გასამგზავრი მონაწილეების სია, რასაც ითვალისწინებს N180 წესის მე-2 მუხლის მე-5 პუნქტი („საქართველოს ფარგლებს გარეთ გასამართ ღონისძიებაში მონაწილეობისათვის შესაბამისი დაფინანსების უზრუნველსაყოფად, ფედერაციამ სამინისტროში ფედერაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსის პირის ხელმოწერით უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული უნდა იყოს ღონისძიებაზე გასამგზავრი მონაწილეების სია, დამოწმებული ფედერაციის წარმომადგენლობაზე უფლებამოსის პირის ხელმოწერით და ფედერაციის ბეჭდით“).

ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ფედერაციის მიერ შესაბამისი დოკუმენტაციის წარდგენის კონკრეტული ვადა. ღონისძიება დასრულებულია 2011 წლის 18 სექტემბერს, ხოლო ფედერაციის მიერ ფინანსური დოკუმენტაცია წარმოდგენილია 2012 წლის 27 თებერვალს (N3 მიღება-ჩაბარების აქტი 234,949.00 ლარზე).

4.საქართველოს მთავრობის 2012 წლის 18 ივნისის N1189 განკარგულებით საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსთვის სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გამოეყო 3,000,000.00 ლარი. მათ შორის, სპორტულ სახეობათა განვითარების პროგრამაზე (39 02 04) – 1,350,000.00 ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ნარდის ასოციაციაზე გაცემულია 24,333.00 ლარი (ხელშეკრულებები N1157ს/ფ 16.08.12, N1164ს/ფ 16.08.12, N1165ს/ფ 16.08.12. „სპორტული ფესტივალი 2012-ის“ ფარგლებში ღონისძიებები სხვადასხვა რაიონებში ჩატარებულია აგვისტო-სექტემბერში). ხელშეკრულებებში არ არის მითითებული ფედერაციის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის კონკრეტული ვადა, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია 2012 წლის 31 დეკემბერი (ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე), რაც გულისხმობს, რომ სამინისტრო ფედერაციას ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის ვადად უწესებს 6 თვეს, რაც არაგონივრულია. ფედერაციის მიერ ფინანსური ანგარიში წარმოდგენილია 2013 წლის 29 აპრილს 13,619.0 ლარზე

(ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ), ხოლო დანარჩენი თანხა - 10,715.00 ლარი ბიუჯეტში დაბრუნებული არ არის.

5. ანალოგიური სიტუაციაა ნარდის ასოციაციასთან 2012 წლის 30 ივლისს გაფორმებულ N1088 ს/ფ ხელშეკრულებასთან მიმართებითაც (ეს უკანასკნელი არ ეხება მთავრობის N1189 განკარგულებას), რომლის საფუძველზე ფედერაციას გადაერიცხა 8,260.00 ლარი, ფინანსური ანგარიში წარდგენილია 2013 წლის 29 აპრილს 7490 ლარზე, ხოლო 770.00 ლარი ბიუჯეტში დაბრუნებული არ არის.

სამინისტრომ 2013 წლის 11 დეკემბერს (წერილი N07/3776), 2014 წლის 27 იანვარს (წერილი N07/242) და 2014 წლის 20 მარტს (წერილი N07/946) მიმართა ნარდის ასოციაციას გაუხარჯავი თანხის (ჯამში 11,484.00 ლარი) ბიუჯეტში დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ამ უკანასკნელისგან მოთხოვნის წერილებზე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია და აღნიშნული თანხა ამ დროისთვის ირიცხება დებიტორად, ხოლო სამინისტროს მხრიდან არ იქნა გამოყენებული ხელშეკრულებითა და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ მე-7 მუხლის მოთხოვნები, რომლის თანახმად, ორგანიზაცია სახელმწიფო ბიუჯეტში აბრუნებს იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ამავე მუხლის მიხედვით, ფედერაციის მიერ მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.

6. პროგრამის (39.02.04) ფარგლებში მაგიდის ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციაზე გაცემულია 2,504.00 ლარი (ხელშეკრულება N1181 ს/ფ 21.08.2012წ. 22 აგვისტოს ქ. ხონში, „სპორტული ფესტივალი საქართველო 2012“-ის ფარგლებში მაგიდის ჩოგბურთში ტურნირის ჩატარება). ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ფედერაციის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის ვადა, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია 2012 წლის 31 დეკემბერი (ხელშეკრულების გაფორმებიდან 6 თვე), რაც გულისხმობს, რომ სამინისტრო ფედერაციას ფინანსური ანგარიშების წარმოდგენის ვადად უწესებს 6 თვეს, რაც არაგონივრულია. ფედერაციის მიერ ფინანსური ანგარიში წარმოდგენილი არ არის.

ამ უკანასკნელის მიერ ფინანსური ანგარიშები ასევე არ არის წარდგენილი 52,838.00 ლარზე, ხელშეკრულებების N242 ს/ფ 27.02.12; N287 ს/ფ 06.03.12; N536 ს/ფ 27.04.12; N597 ს/ფ 14.05.12; N872 ს/ფ 28.06.12; N905 ს/ფ 04.07.12; N1321 ს/ფ 25.09.12 და N1389 ს/ფ 16.10.12 შესაბამისად. ყველა ხელშეკრულებაში მოქმედების ვადად მითითებულია 2012 წლის 31 დეკემბერი. სამინისტრომ 2013 წლის 18 იანვარს (წერილი N07/91) მიმართა მაგიდის

ჩოგბურთის ეროვნულ ფედერაციას წარმოდგინათ ფინანსური ანგარიში, ხოლო 2013 წლის 15 მარტს (წერილი N07/757) ფინანსთა სამინისტროს - შემდგომი რეაგირებისათვის. ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა შეაისწავლა აღნიშნული საკითხი (წარმოდგენილი ანგარიშები) და მიიჩნია რომ გამოძიების დაწყების საფუძველი არ არსებობდა. 2013 წლის 28 ნოემბერს სამინისტრომ ისევ მიმართა ფედერაციას ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის მოთხოვნით, თუმცა ფედერაციის მხრიდან არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია და სამინისტროს მხრიდანაც აღარ განხორციელებულა შემდგომი ღონისძიებები, ხოლო 2013 წლის 29 მაისის N604 ხელშეკრულების საფუძველზე ფედერაციას კვლავ გადაერიცხა 9900 ლარი.

7.ამავე პროგრამის (39.02.04) ფარგლებში სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაზე გაცემულია 100,000.00 ლარი (ხელშეკრულება N1172 ს/ფ 17.08.2012, დადებულია ასოციაციასა და ტელეკომპანია „მზეს“ შორის 2012 წლის 13 აგვისტოს ხელშეკრულების საფუძველზე, გადაცემათა ციკლის - „იციხოვრე სპორტით“ განხორციელება). აღსანიშნავია, რომ ასოციაციასა და ტელეკომპანია „მზეს“ შორის დადებული ხელშეკრულებით ტელეკომპანია „მზე“ ვალდებულია იღებდა დაემზადებინა 48 ორმოცდაათ წუთიანი გადაცემა, რომელსაც გაუშვებდა საკუთარ სამაუწყებლო არხის ეთერში 2012 წლის 10 სექტემბრიდან 2013 წლის 10 სექტემბრამდე, ხოლო სამინისტროსა და ასოციაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია 2012 წლის 31 დეკემბერი, ხელშეკრულების ვადები ერთმანეთთან შეუსაბამოა.

ასოციაციამ 2013 წლის 10 სექტემბრის შემდეგაც ვერ წარადგინა ფინანსური ანგარიში. მიუხედავად ამისა, სამინისტროს მიერ სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციაზე სხვადასხვა პერიოდებში გაცემულია თანხები სხვადასხვა ღონისძიებებზე, მათ შორის 2013 წლის 6 ნოემბრის N1311 ს/ფ ხელშეკრულების საფუძველზე გადარიცხულია 29,850.00 ლარი სამინისტროს ყოველწლიური ჟურნალ-ალმანახის „სპორტი და ახალგაზრდობა-2013-ის“ გამოსაცემად, ხელშეკრულების მოქმედების ვადად მითითებულია 2013 წლის 31 დეკემბერი.

სამინისტრომ 2013 წლის 11 დეკემბერს (წერილი N07/3773), 2014 წლის 27 იანვარს (წერილი N07/238) და 2014 წლის 20 მარტს (წერილი N07/938) მიმართა სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციას წარედგინა აღნიშნულ ხელშეკრულებებზე (N1172 და N1311) ფინანსური ანგარიშები, თუმცა ამ უკანასკნელმა დაგვიანებით, მხოლოდ 2014 წლის 6 ივნისს წარადგინა 29,850.00 ლარის თანხაზე ფინანსური ანგარიში, ხოლო 100,000.00 ლარი დღემდე ირიცხება დებიტორად და სამინისტროს მხრიდან არ გატარებულა ქმედითი ღონისძიებები (არ ყოფილა მოთხოვნა აღნიშნული თანხების ბიუჯეტში დაბრუნების თაობაზე და არც მასალები გადაცემულა სამართალდამცავი ორგანოებისათვის კანონმდებლობის შესაბამისად).

8.პროგრამის 39.02.04 ფარგლებში, სამინისტროსა და ძიუდოს ეროვნულ ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებების (N268 ს/ფ 02/03/2012; N611 ს/ფ 16/05.2012; N776 ს/ფ 15/06/2012; N1055 ს/ფ 24/07/2011) საფუძველზე 2012 წელს სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსების მიზნით ფედერაციას სუბსიდირების გზით გადაერიცხა 390,865.00 ლარი, ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული ფედერაციის მიერ ფინანსური დოკუმენტაციის წარმოდგენის ვალდებულების კონკრეტული ვადა (მითითებულია „ღონისძიების დამთავრების შემდეგ“), თუმცა ხელშეკრულებების მოქმედების ვადად განსაზღვრულია 2012 წლის 31 დეკემბერი (რაც გულისხმობს ვალდებულებების შესრულების ბოლო ვადასაც). ფედერაციის მიერ ფინანსური ანგარიში 337,020.00 ლარზე წარდგენილია 2013 წლის 31 დეკემბერს, მიუხედავად იმისა, რომ ღონისძიებები ჩატარდა 2012 წლის მარტი-ივლისის თვეებში. სამინისტრომ 2013 წლის 11 დეკემბერს (წერილი N07/3777), 2014 წლის 27 იანვარს (წერილი N07/241) და 2014 წლის 20 მარტს (წერილი N07/945) მიმართა ძიუდოს ეროვნულ ასოციაციას გაუხარჯავი თანხის - 53,845.00 ლარის ბიუჯეტში დაბრუნების მოთხოვნით, თუმცა ამ უკანასკნელისგან მოთხოვნის წერილებზე არანაირი რეაგირება არ მოჰყოლია და აღნიშნული თანხა ამ დროისთვის ირიცხება დებიტორად, ხოლო სამინისტროს მიერ არ გადაცემულა მასალები სამართალდამცავი ორგანოებისთვის.

9.პროგრამის 39.02.04 ფარგლებში, ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტსა და შპს „ბრაგო რეჟორდს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, სამინისტროსა და ეროვნულ პარაოლიმპიურ კომიტეტს შორის 2012 წლის 12 ივლისს გაფორმდა N960 ს/ფ ხელშეკრულება და კომიტეტს სუბსიდირების გზით გადაერიცხა 48,000.00 ლარი, რომელიც უნდა მოხმარებოდა ქართველი პარაოლიმპიელების მხარდასაჭერად სიმღერის ჩაწერას, ამ სიმღერაზე ვიდეოკლიპის გადაღებასა და სხვადასხვა პიარაქტივობების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფას. აღნიშნული ხელშეკრულების (N960) მოქმედების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 31 დეკემბერი. ამ თარიღამდე პარაოლიმპიურმა კომიტეტმა ვერ წარუდგინა სამინისტროს ფინანსური ანგარიში. სამინისტრომ (1 წლის შემდეგ) 2013 წლის 11 დეკემბერს (წერილი N07/3761) და 2014 წლის 20 მარტს (წერილი N07/941) მიმართა პარაოლიმპიურ კომიტეტს წარმოედგინათ ფინანსური ანგარიში. 2014 წლის 30 აპრილს პარაოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტის წერილის (N30-04) თანახმად სამინისტროს უარი ეთქვა ფინანსური ანგარიშის წარმოდგენაზე იმის გამო, რომ „წინა ხელმძღვანელობამ არავითარი პირველადი დოკუმენტაცია არ გადასცათ“. დარღვეულია „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის #180 ბრძანებით

დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნები, რომლის თანახმად აღნიშნულის შესახებ იმფორმაცია გადაეგზავნება სამართალდამცავ ორგანოებს.⁸

10. სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა (39.02.07). საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 30 დეკემბრის N188 ბრძანებით დამტკიცებული 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში განსახორციელებელი პროგრამების არსობრივი ნაწილის მიხედვით „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ (39.02.07) ძირითადი არსი არის საქართველოში სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია და თანამედროვე სპორტული ინვენტარის შეძენა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, მთავრობის 2012 წლის 23 მარტის N530 განკარგულების საფუძველზე, სამინისტროს მიერ განხორციელებულ კამპანიაში (საქართველოს სასკოლო სისტემაში სპორტის განვითარების ხელშეწყობა) მონაწილეობის მიზნით განხორციელდა მაგიდის ჩოგბურთში კორეელი სპორტსმენის სუენ ლის საქართველოში ჩამოყვანა, სამინისტროსა და სუენ ლის შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, სუენ ლის მიერ გაწეულ მომსახურებაში შედიოდა: 2012 წლის 1-7 ივნისის პერიოდში ინტერვიუების ჩაწერა „რუსთავი-2“-ის, „იმედის“ და „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საინფორმაციო გამოშვებისათვის; პრესკონფერენცია; სატელევიზიო რეკლამის გადაღება; ფოტოგადაღება რეკლამებში, მედია საშუალებებში, ასევე ბილბორდებსა და პლაკატებზე განთავსების მიზნით; რუსთავი 2-ზე ვანოს შოუ მონაწილეობა; სატელევიზიო რეპორტაჟი საინფორმაციო ბლოკებისათვის, სამინისტროს ვებ-გვერდსა და სამინისტროს Facebook-ის გვერდზე განსათავსებლად. ამასთან ხელშეკრულების თანახმად: სატელევიზიო რეკლამების, ფოტოსესიებისა და სატელევიზიო პროგრამებში მონაწილეობისას სუენ ლი ჩაცმული იქნებოდა ადიდასის ფირმის ტანსაცმელში.

⁸ - მუხლი 7, პუნქტი 1. ღონისძიებების დასრულების შემდგომ ფედერაციამ, წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, სამინისტროში უნდა წარმოადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები;

ბ) ღონისძიების ტექნიკური ანგარიში (შეჯიბრების შემთხვევაში).

2. საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზეც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე.

3. ყოველი კონკრეტული ღონისძიების ჩატარების შემდეგ, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანად უარის თქმის და ფედერაციის მიერ მიღებული თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს.


აღნიშნული ღონისძიება არ შეესაბამება ზემოთ აღნიშნულ „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამის“ (39.02.07) მიზნებსა და ამოცანებს. ამ ღონისძიების ფარგლებში გაწეულმა არამიზნობრივმა ხარჯმა შეადგინა სულ 207,847.00 ლარი.

3.უარყოფითი მოსაზრება კანონმდებლობასთან შესაბამისობის შესახებ

ჩვენი აზრით სამინისტროს საქმიანობა ზემოთ მოტანილი ფაქტების გამო შესაბამისობაში არ არის მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებთან.

წამყვანი აუდიტორი

გურამ ყავლაშვილი

 03.02.2015

უფროსი აუდიტორი

მანანა ღვინაძე

 03.02.2015

უფროსი აუდიტორი

თეიმურაზ გოდუაძე

 03.02.15


აუდიტორი

ნანა ვაჩაძე

 03.02.15

აუდიტორ-ასისტენტი

რუსუდან აბულაშვილი

 03.02.2015

**სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პასუხი საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს შენიშვნებზე და განმარტებებზე 2013 წლის
ფინანსური და შესაბამისობის და 2011-2012 წლების შესაბამისობის აუდიტის
ანგარიშების პროექტებთან დაკავშირებით**

თქვენს მიერ წარმოდგენილი შენიშვნების და განმარტებების (წერილი N07/47/48, 23/12/2014) მიხედვით გაირკვა, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში გამოთქმულ ზოგიერთ შენიშვნას ეთანხმებით. ზოგიერთ განმარტებებს ჩვენც დავეთანხმეთ, ხოლო დანარჩენთან დაკავშირებით არგუმენტები გაზიარებული არ იქნა შემდეგი გარემოებების გამო:

1. ფულადი სახსრები

„ფულადი სახსრები“ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მე-13 მუხლის თანახმად ბუღალტრულ აღრიცხვაშიც და ფინანსურ აღრიცხვაშიც აღრიცხული უნდა იყოს ფულადი სახსრების ანგარიშებზე და არა დებიტორულ დავალიანების ანგარიშზე.

2. ძირითადი აქტივები

- 2010 წლის 29 ივნისს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით ლიკვიდირებულ იქნა საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და შეიქმნა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, რომელიც ჩაითვალა ზემოთაღნიშნული დეპარტამენტის უფლებამონაცვლედ. შესაბამისად ძირითადი აქტივები აღრიცხული უნდა ყოფილიყო შესაბამის საბალანსო ანგარიშებზე და სამინისტროს „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, უძრავი ქონების სარგებლობაში გადაცემა საჯარო რეესტრში უნდა დაარეგისტრიროს იმ სახელმწიფო ორგანომ რომელსაც სარგებლობაში გადაეცა ეს ქონება“, შესაბამისად აღნიშნული კანონების დარღვევის შედეგად სამინისტროს ბალანსი არარეალურად ასახავს გრძელვადიან არაფინანსურ აქტივებს, რადგან ბალანსში 2013 წლის 1 იანვრისთვის და 2013 წლის 31 დეკემბრისთვის საბალანსო ანგარიშებზე არ არის ასახული შესაბამისად, 7,828,810.86 ლარის და 5,801,937.44 ლარის ღირებულების არაფინანსურ აქტივები;

- ვერ გავიზიარებთ თქვენ განმარტებას: „2013 წლის 20 დეკემბრის მდგომარეობით განხორციელებული ინვენტარიზაციის აქტში, სამინისტროს ბალანსზე რიცხულ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ განმუხურში 2009 წელს მოწყობილ პატრიოტული ბანაკის ქონების არ არსებობის გამო მის დანაკლისად არ აღიარებას „საკითხის პრობლემატურობაზე მითითებით“. ფაქტობრივად არ არსებობს სახელმწიფოს 925,299.0 ლარის ღირებულების ქონება (18 ერთეული კოტეჯი და განმუხურის ბანაკის დამხმარე ინფრასტრუქტურა).

-ვერ გავიზიარებთ თქვენს განმარტებას ანაკლიის ზანაკის ტერიტორიაზე დაშლილი 5 ერთეული კოტეჯისგან აშენებული 1 ახალი კოტეჯის შესახებ, თქვენი განმარტებით ფაქტიურად აღრეულია სამინისტროს ბალანსზე აღრიცხული აქტივები და სსიპ ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ბალანსზე რიცხული აქტივები, რომლის ასიგნებებიდან განხორციელდა ძველი კოტეჯების დემონტაჟისა და ახალი კოტეჯის მშენებლობის სამუშაოების დაფინანსება. ამდენად, უნდა მოხდეს რეალური აღრიცხვა სამინისტროს ბუღალტრულ აღრიცხვაში და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში.

3.დებიტორული დავალიანებები:

გაზიარებული იქნა თქვენი განმარტება დებიტორულ დავალიანებებთან დაკავშირებით. ასევე საყურადღებოა თქვენი მიერ გატარებული ღონისძიება, რომლის თანახმად „2012 წლიდან წარმოშობილი სპორტული ფედერაციების დებიტორული დავალიანებების საკითხი შესწავლილ იქნა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ და რეაგირებისთვის გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2014 წლის 5 ნოემბრის #09/3985 წერილით“. მიუხედავად ამისა დარჩა დებიტორული დავალიანები: 1996-2002წლებში წარმოშობილი 4,969.00 ლარის ოთხ პირზე და 2008 წელს წარმოშობილი 83,037.30 ლარის ოდენობით - ფეხბურთის ფედერაციის მიმართ, რომელთა შესახებ გატარებული შესაბამისი ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები წარმოდგენილი ვერ იქნა.

4.კრედიტორული დავალიანებები:

გაზიარებული იქნა თქვენი განმარტება, რომ „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის №1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის 30-ე მუხლის 31-ე პუნქტის „ვადაგადაცილებული დავალიანებები ანგარიშგებაში აისახება საცნობარო მუხლის სახით – ვადაგადაცილებული დავალიანებების 09 ანგარიშზე“ გათვალისწინებით სამინისტროს ნაერთ ბუღალტრული ანგარიშის ფორმა N1-ის (ბალანსის) 09 საცნობარო მუხლში დაფიქსირებულა საბალანსო მუხლებში არსებული ყველა კრედიტორული დავალიანების ჯამი-საანგარიშო წელს წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებების გამოკლებით. მაგრამ, ბუღალტრულ აღრიცხვაში (საბუღალტრო პროგრამა „ორისი“) ვადაგადაცილებული დავალიანებები არ არის ასახული საცნობარო მუხლებში ბალანსგარე ანგარიშებზე, რის გამოც ფინანსური ანგარიშგება და ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამება ერთმანეთს.

5.ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამა:

გათვალისწინებული იქნა - ახალგაზრდული პოლიტიკის განვითარების პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების ფაქტიურ ხარჯად აღიარებასთან დაკავშირებული თქვენს მიერ დამატებით წარმოდგენილი დოკუმენტები.

6. ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა:

ფეხბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით თქვენს მიერ წარმოდგენილია საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის 2014 წლის 23 დეკემბრის N03/920 და 2014 წლის 24 დეკემბრის N03/924 წერილების ასლები. რადგან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღნიშნული წერილები წარმოადგენს თქვენი შენიშვნების დანართს, შესაბამისად ვგულისხმობთ, რომ თქვენ ეთანხმებით ფედერაციის წერილებში ასახულ შენიშვნებს და განმარტებებს.

ავლნიშნავთ, რომ აუდიტის ანგარიშის პროექტში ასახული დარღვევა-ნაკლოვანებები ეხება უშუალოდ სამინისტროს საქმიანობას და მის მიერ არასათანადოდ შესრულებულ ფონქციებსა და ვალდებულებებს და არა ფედერაციების საქმიანობას. სამინისტრო ვალდებულია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საბიუჯეტო თანხების ხარჯვა და ხარჯვაზე კონტროლი განახორციელოს ეფექტურად, მიზნობრიობის დაცვით.

1. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის დაკისრებული ჯარიმის 160,000.0 ევროს გადახდა

ჩვენ ვითვალისწინებთ განმარტებას, რომელიც ეხება ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ფიფა) ფეხბურთელთა სტატუსის კომიტეტისა და ლოზანის საერთაშორისო სპორტული არბიტრაჟის მიერ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისათვის დაკისრებული ჯარიმის გადახდის უზრუნველყოფის მიზნით საქართველოს მთავრობის 2011 წლის 21 ოქტომბრის N 2033 განკარგულებით სარეზერვო ფონდიდან 160,000.00 ევროს (ეკვივალენტს ლარებში) გამოყოფას და მის ხარჯვას განკარგულების შესაბამისად. მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საბიუჯეტო თანხების ხარჯვა ფედერაციის არასწორი გადაწყვეტილებების გამო, თანაც „ჯარიმების გადახდა“ არ წარმოადგენს არანაირ პროგრამას, შესაბამისად, აღნიშნული შინაარსობრივად წარმოადგენს არამიზნობრივს.

2. ქ. ფოთის ცენტრალური სტადიონის საფარის დაგება:

შეპასუხებაში აღნიშნულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვებისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმიური მოგების განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ 2012 წლის 12 ივლისის N1-1/1463 ბრძანება, რომელიც აუდიტის ანგარიშის პროექტში საერთოდ არ არის მოხსენებული. ასევე, ქ. ფოთის ცენტრალური სტადიონთან დაკავშირებით, საერთოდ არ არის მოხსენებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესი, რადგან აღნიშნული სტადიონის სამშენებლო სამუშაოებისას ეს წესი საერთოდ არ არსებობდა.

ქ.ფოთის ცენტრალური სტადიონის მოწყობის დროისთვის მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

შესაბამისად, უშუალოდ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 5 სექტემბერს გაფორმებული N846 ს/ფ ხელშეკრულების, 2011 წლის 10 ნოემბერს გაფორმებული N1017 ს/ფ ხელშეკრულებისა და 2011 წლის 21 დეკემბერს გაფორმებული N1090 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ტექნიკური და ფინანსური ანგარიშების წარდგენაზე. ამასთან, აღნიშნული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ, მისთვის სამინისტროდან წინასწარ გადარიცხულ თანხაზე ხარჯვის დოკუმენტაციის და შესაბამისი განმარტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, ფედერაცია ამ თანხის შესაბამისი ოდენობის თანხას დააბრუნებდა სახელმწიფო ბიუჯეტში. მე-4 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ისე გაფორმდა 2011 წლის 28 დეკემბრის N81 მიღება-ჩაბარების აქტი 753,577.70 ლარის ღონისძიებების განხორციელებაზე, რომ სამინისტროს არ მოუთხოვია და შესაბამისად არც ფედერაციას წარუდგენია ფაქტიური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 1 სექტემბერს N01-08/შ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ხელშეკრულების ეს მუხლი სწორედაც იმას გულისხმობს, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს

მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე. რისთვისაც აუცილებელი იყო სამუშაოთა შემსრულებლისგან პირველადი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც სამინისტროს არ მოუთხოვია და ფეხბურთის ფედერაციასაც არ გაუკეთებია.

შეპასუხებაში აღნიშნულია, რომ „აღნიშნული მოედნის აშენების შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გააჩნია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც სამუშაოს შესრულების სხვაობად აღიარებულია 27,155.75 ლარი, რომელიც დაბრუნებულია ბიუჯეტში“. ამ ჩანაწერთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: 1.სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მიმდინარე აუდიტი დროს წარმოდგენილი არ ყოფილა(წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის პროექტის გაგზავნის შემდეგ); 2.ეს თანხა სამინისტროს დებიტორულ დავალიანებად არ ერიცხებოდა (მოთხოვნად აღიარებული არ ჰქონდა), რაც იმაზე მიუთითებს, რომ სამინისტრო დასკვნის შესახებ საქმის კურსში არ იყო.

3.ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მოწყობა

ანალოგიურ პასუხს წარმოგიდგენთ ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მოწყობასთან დაკავშირებულ შეპასუხებაზეც.

ქ.გორის ცენტრალური სტადიონთან დაკავშირებით საერთოდ არ არის მოხსენებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული წესის, რადგან აღნიშნული სტადიონის სამშენებლო სამუშაოებისას ეს წესი საერთოდ არ არსებობდა.

ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მოწყობისთვის დროისთვის მოქმედებდა „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული წესი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2011 წლის 4 ოქტომბერს გაფორმებული N895 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, ფეხბურთის ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ტექნიკური და ფინანსური ანგარიშების წარდგენაზე. ამასთან, აღნიშნული წესის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციას სამინისტროში უნდა

წარედგინა საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ, მისთვის სამინისტროდან წინასწარ გადარიცხულ თანხაზე ხარჯვის დოკუმენტაციის და შესაბამისი განმარტების არ წარმოდგენის შემთხვევაში, შესაბამისი ოდენობის თანხა უნდა დაებრუნებინა სახელმწიფო ბიუჯეტში. მე-4 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის გაფორმდებოდა შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ისე გაფორმდა 2011 წლის 28 დეკემბრის N82 მიღება-ჩაბარების აქტი 749,739.00 ლარის ღონისძიებების განხორციელებაზე, რომ სამინისტროს არ მოუთხოვია და შესაბამისად არც ფედერაციას წარუდგენია ფაქტიური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2011 წლის 28 სექტემბერს N02-09/შ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ხელშეკრულების ეს მუხლი სწორედაც იმას გულისხმობს, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე. რისთვისაც, აუცილებელი იყო სამუშაოთა შემსრულებლისგან პირველადი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც სამინისტროს არ მოუთხოვია და ფეხბურთის ფედერაციასაც არ გაუკეთებია.

შეპასუხებაში აღნიშნულია, რომ „აღნიშნული მოედნის აშენების შესახებ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას გააჩნია სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, სადაც სამუშაოს შესრულების სხვაობად აღიარებულია 128,682.5 ლარი, რომელიც დაბრუნებულია ბიუჯეტში“. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას შემდეგი: 1. სსიპ-ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა მიმდინარე აუდიტის დროს წარმოდგენილი არ ყოფილა (წარმოდგენილია აუდიტის ანგარიშის პროექტის გაგზავნის შემდეგ); 2. ეს თანხა სამინისტროს დებიტორულ დავალიანებად არ ერიცხებოდა (მოთხოვნად აღიარებული არ ჰქონდა).

4.ქ.გორის ცენტრალური სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა

ქ.გორში ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის დროისთვის უკვე მოქმედებდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 15 თებერვალს გაფორმებული N182 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ფინანსური ანგარიშის სრულყოფილად წარდგენაზე. ასევე, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ასევე იღებდა ვალდებულებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება განეხორციელებინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის და ფედერაციის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს. ამრიგად სამინისტროსა და ფედერაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალსახად და ერთაზროვნად ჩადებულია ის, რომ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება

ფედერაციას განხორციელებინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ისე გაფორმდა 2012 წლის 16 აგვისტოს N48 მიღება-ჩაბარების აქტი 587,000.0 ლარის სამუშაოების განხორციელება, რომ სამინისტროს არ მოუთხოვია და შესაბამისად არც ფედერაციას წარუდგენია ფაქტიური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის, 2012 წლის 8 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-02/შ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ხელშეკრულების ეს მუხლი სწორედ იმას გულისხმობს, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე. რისთვისაც, აუცილებელი იყო სამუშაოთა შესრულებლისგან პირველადი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც სამინისტროს არ მოუთხოვია და ფეხბურთის ფედერაციასაც არ გაუკეთებია. აუდიტის შედეგად იმ მასალების მიხედვით, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა, გამოვლინდა ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხის გადახდის სხვაობა 28,591.00 ლარის ოდენობით.

შეპასუხებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რომლის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

5.ქ.ქობულეთში თანამედროვე ტიპის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის აშენება

ზუსტად ანალოგიური სიტუაციაა ქ.ქობულეთში თანამედროვე ტიპის ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობასთან დაკავშირებით:

ქ.ქობულეთში ხელოვნურაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობის დროისთვის უკვე მოქმედებდა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის 2012 წლის 16 მაისს გაფორმებული N610 ს/ფ ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ვალდებული იყო სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე (მათ შორის გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხის სახელმწიფო ბიუჯეტში დაბრუნებაზე) და ასევე სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტში ფინანსური ანგარიშის სრულყოფილად წარდგენაზე. ასევე, აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, ფედერაცია ასევე იღებდა ვალდებულებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება განეხორციელებინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ღონისძიების დასრულების შემდგომ ფედერაციამ სამინისტროში უნდა წარადგინოს წერილი, რომელზეც დართული იქნება საბიუჯეტო ასიგნებებიდან გამოყოფილი სახსრების ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად მიზნობრივად ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები, მე-2 პუნქტის თანახმად, საბიუჯეტო ასიგნებებიდან მიღებულ თანხაზე ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოდგენისას, იმ თანხის იდენტური ოდენობის თანხას, რომელზედაც არ აქვს წარმოდგენილი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან შესაბამისი განმარტება, ფედერაცია აბრუნებს სახელმწიფო ბიუჯეტში სამინისტროს მიერ მითითებულ ანგარიშზე, მე-3 პუნქტის თანახმად, ფედერაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამინისტროსა და ფედერაციას შორის ფორმდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტი, ხოლო მე-4 პუნქტის თანახმად, ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, ფედერაციის მიერ არ წარმოდგენის ან დოკუმენტაციის არასწორად ან/და არასრულად წარმოდგენის გამო, სამინისტროს მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე საფუძვლიანი უარის თქმის და ფედერაციის მიერ თანხის დაუბრუნებლობის შემთხვევაში, ღონისძიების დაფინანსებასთან დაკავშირებული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნება საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს. ამრიგად სამინისტროსა და ფედერაციას შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში ცალსახად და ერთაზროვნად ჩადებულია ის, რომ გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება ფედერაციას განეხორციელებინა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის

სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის ისე გაფორმდა 2012 წლის 11 დეკემბრის N88 მიღება-ჩაბარების აქტი 650,000.00 ლარის სამუშაოების განხორციელებაზე, რომ სამინისტროს არ მოუთხოვია და შესაბამისად არც ფედერაციას წარუდგენია ფაქტიური ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტები.

ასევე, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და კომპანია „სიმუნოვიც კრისტიან & სია ო.ე საქართველოს ფილიალს“ შორის, 2012 წლის 8 თებერვალს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N01-02/შ ხელშეკრულების 3.2 პუნქტის თანახმად: „ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა“. ხელშეკრულების ეს მუხლი სწორედაც იმას გულისხმობს, რომ „ხელშეკრულების ღირებულება“ განსაზღვრულიყო კომპანია „სიმუნოვიტს კრისტიან & სია ო.ე სპორტენგი“-ს მიერ ფაქტიურად გაწეული ხარჯებიდან გამომდინარე. რისთვისაც, აუცილებელი იყო სამუშაოთა შემსრულებლისგან პირველადი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც სამინისტროს არ მოუთხოვია და ფეხბურთის ფედერაციასაც არ გაუკეთებია. აუდიტის შედეგად იმ მასალების მიხედვით, რომელთა იდენტიფიცირებაც მოხერხდა, გამოვლინდა ბიუჯეტიდან ზედმეტი თანხის გადახდის სხვაობა 67,877.00 ლარის ოდენობით.

შეპასუხებაში აღნიშნულია, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ აღნიშნული მოედნის შესრულებული სამუშაოს ღირებულების დასადგენად მიმართა სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რომლის თანახმად შესაბამისი დასკვნა მოგვიანებით იქნება წარმოდგენილი.

6. ანალოგიური მდგომარეობაა სხვა საფეხბურთო მოედნების მოწყობასთან დაკავშირებით, კერძოდ:

- ქ.თელავის ცენტრალურ სტადიონზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა;

- ქ.ლანჩხუთის ცენტრალურ სტადიონზე მეოთხე კატეგორიის სტადიონის მოწყობა;

- სამტრედიის სტადიონზე სართაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა;

- დუშეთის ოლიმპიურ ბაზაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედნის მოწყობა;

აღნიშნულ სტადიონებთან დაკავშირებით (ისე, როგორც ზემოთ განხილულ სტადიონებთან დაკავშირებით), თქვენი შენიშვნები მდგომარეობს შემდეგში:

1. არ იზიარებთ იმ აზრს, რომ ფინანსური ანგარიში არასრულყოფილია და ითხოვთ დაგისახელოთ შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა რომლითაც დადასტურდება დოკუმენტაციის არასრულყოფილება. ასევე მიიჩნევთ, რომ 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესი“ - სტადიონების მშენებლობას არ ეხება.

პასუხი: ეს ნორმა განსაზღვრულია ხელშეკრულებებით, რომლებიც გაფორმებულია საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას შორის თითოეული სტადიონზე ცალ-ცალკე. ამ ხელშეკრულებებით გამოყოფილი თანხების ხარჯვა და შესაბამისი ანგარიშსწორება საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას უნდა განეხორციელებინა ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების - საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N120 ბრძანებით დამტკიცებული - „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ და 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის“ შესაბამისად.

2. თქვენ მიიჩნევთ, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის კომპეტენციას აღემატებოდა შემსრულებლისგან პირველადი საფინანსო დოკუმენტაციის მოთხოვნა.

პასუხი: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასა და შემსრულებლებს შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები, რომელთა თანახმად: 3.2 პუნქტი - ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს, ხოლო 3.3 პუნქტის შესაბამისად კი, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულებების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აღნიშნული ჩანაწერი

გულისხმობს, რომ ანგარიშსწორებისას ღირებულება უნდა განსაზღვრულიყო მომწოდებლის ფაქტიური დანახარჯებიდან გამომდინარე, ამასთან დაუშვებელი იყო შემსყიდველისათვის ხელშეკრულების ღირებულების გაზრდა და პირობების გაუარესება, რაც გულისხმობს იმას, რომ თუ მომწოდებლის (შემსრულებლის) ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე სამუშაოთა ღირებულება გადააჭარბებდა სახელშეკრულებო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებას, მიუხედავად ამისა ანგარიშსწორება მოხდებოდა სახელშეკრულებო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულებიდან გამომდინარე, ხოლო თუ მომწოდებლის (შემსრულებლის) ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე სამუშაოთა ღირებულება უფრო ნაკლები იქნებოდა ვიდრე სახელშეკრულებო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება - მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდებოდა ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე გაანგარიშებული ღირებულების მიხედვით. (საერთოდ სამუშაოთა მიღება-ჩაბარების აქტში ფორმა 2-ში ყველა მონაცემი უნდა იყოს ფაქტიური ხარჯებიდან გამომდინარე, გარდა ფაქტიურ ხარჯებზე პროცენტულად დარიცხული ხარჯებისა.). ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას არა მარტო უფლება ჰქონდა, არამედ ვალდებულიც იყო შემსრულებლისგან გამოეთხოვა პირველადი საფინანსო დოკუმენტები და შემდეგ გადაეცა ექსპერტიზაზე ან დამოუკიდებელი აუდიტისათვის ფორმა-2-ის რეალობის დასადგენად.

3. თქვენი ერთი შენიშვნის არსი მდგომარეობს იმაში, რომ რადგან ხელშეკრულება გაფორმდა ტენდერის საფუძველზე, ფედერაცია ვერ მოახდენდა ფაქტობრივი ხარჯების მიხედვით ანაზღაურებას.

პასუხი: აღნიშნულთან დაკავშირებით განგიმარტავთ, რომ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2010 წლის 18 თებერვლის N251 ბრძანების შესაბამისად საქართველოს ტერიტორიაზე ძალაშია სამშენებლო სფეროში 1992 წლამდე მოქმედი ნორმები, წესები და ტექნიკური რეგულირების სხვა დოკუმენტები, აგრეთვე მათი ის ნაწილები, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას და რომელთა ალტერნატივა არ არსებობს ეროვნული სამშენებლო ნორმების და წესების ან ნორმატიული აქტების სახით. შესაბამისად ძალაშია ბრძანებით განსაზღვრული СНиП IV-8-82 (მშენებლობაში ზედნადები ხარჯების და გეგმიური დაგროვებების სახარჯთაღრიცხვო ნორმების დამუშავების და გამოყენების წესები), რომელიც განსაზღვრავს სამშენებლო სამუშაოების თვითღირებულების (მათ შორის პირდაპირი ხარჯების), ზედნადები ხარჯების და გეგმიური დაგროვების განმარტებას და მათი გამოყენების წესებს. ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე პირდაპირი ხარჯების განყოფილებაში მასალების, შრომის და მანქანა-მექანიზმების დანახარჯები ჩადებული უნდა იყოს თვითღირებულებით.

რაც შეეხება თქვენს არგუმენტს, რომ თუ პრეტენდენტმა გაიმარჯვა გარკვეული სატენდერო წინადადების ფასით, ამიტომ მას უფლება აქვს რა ფასითაც უნდა იმ ფასად ჩადოს ფორმა N2-ში მასალების თუ შრომის ღირებულება (თუნდაც არაადეკვატურად მაღალ ფასად),

ეს არც ერთი საქართველოში მოქმედი ნორმატიული აქტით არ არის დაშვებული. მაშინ რა აზრი აქვს საერთოდ ხარჯთაღრიცხვის წარმოდგენას (ანგარიშსწორების მოხდენა დაშვებული იქნებოდა პირდაპირ სატენდერო წინადადების ფასიდან გამომდინარე, რაც ასე არ არის).

7. სპეცტექნიკის შისყიდვასთან დაკავშირებით თქვენი განმარტება გათვალისწინებულია.

8. კალათბურთის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა.

ვერ გავითვალისწინეთ საქართველოს კალათბურთის ფედერაციის 2014 წლის 22 დეკემბრის N 1157 წერილით წარმოდგენილი დოკუმენტები იმის გამო, რომ დარღვევები ეხება ფედერაციისათვის თანხის გამოყოფის პირობების დარღვევას.

9. ექსტრემალური სპორტის ფედერაციასთან დაკავშირებით თქვენი განმარტება გათვალისწინებულია.

10. მიღებულია თქვენი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „2012 წელს მთავრობის სარეზერო ფონდიდან (განკარგულება N1189 12.06.2014წ.) გამოყოფილი თანხებიდან სპორტული ღონისძიებების დაფინანსებით წარმოშობილი დებიტორული დავალიანებების საკითხი შესწავლილ იქნა სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის მიერ და რეაგირებისთვის გადაგზავნილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში 2014 წლის 5 ნოემბრის #09/3985 წერილით“

11. ვერ გავითვალისწინებთ თქვენ განმარტებას სუ ენ ლის ჩამოყვანასთან დაკავშირებით, რადგან მასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობები, მ.შ. „ვანოს შოუში მონაწილეობა“ და „ადიდსის ფირმის რეკლამა“ არ შეესაბამება „სპორტის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და სპორტული ინვენტარის განახლების პროგრამა“-ს.

12. რაგბის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამასთან დაკავშირებით თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გათვალისწინებულია.

13. ფრენბურთის ფედერაციასთან დაკავშირებით თქვენი განმარტებები გათვალისწინებულია.

14. საქართველოს კანოეს ფედერაციასთან დაკავშირებით თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები გათვალისწინებულია.